

**ქართული ფსიქოლოგიური  
ჟურნალი**

**2019, № 1**

**Ivane Javakishvili Tbilisi State University**

**Faculty of Psychology & Educational Sciences**

**International Scientific Journal**

**Georgian Psychological  
Journal**

**2019, № 1**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

# ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი

2019, № 1



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

„ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური, საერთაშორისო, რეფერირებადი, ბილინგვური ჟურნალია, რომელიც ეძღვნება ფსიქოლოგიის სხვადასხვა სფეროს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებს. ჟურნალი აქვეყნებს როგორც თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებულ, ისე რაოდენობრივ, თვისებრივ და შერეულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებულ ემპირიულ-კვლევით ნაშრომებს, აგრეთვე სამეცნიერო მიმოხილვებს.

**მთავარი რედაქტორი:** ლალი სურმანიძე

**პასუხისმგებელი მდივანი:** დიმიტრი ჩუბინიძე

**წარმომადგენლობითი საბჭო:** დავით ჩარკვიანი (საქართველო), ირაკლი იმედაძე (საქართველო), ალიოშა ნოიბაუერი (ავსტრია), ლია ყვავილაშვილი (დიდი ბრიტანეთი), ქეთევან ჭანტურია (დიდი ბრიტანეთი)

**სარედაქციო კოლეგია:** ნათელა იმედაძე (საქართველო), დალი ფარჯანაძე (საქართველო), თამარ გაგოშიძე (საქართველო), მარინე ჩიტაშვილი (საქართველო), ბოჟიდარ კაცზმარეკი (პოლონეთი), იამზე კუტალაძე (საქართველო), ტარა მერფი (დიდი ბრიტანეთი), ნანა სუმბაძე (საქართველო), მზია წერეთელი (საქართველო), დანიელ სტარკი (დიდი ბრიტანეთი), მედეა დესპოტაშვილი (საქართველო), ლუიზა არუთინოვი (საქართველო), მაია რობაქიძე (საქართველო)

The **Georgian Psychological Journal** is the official international bilingual peer reviewed journal of the TSU Faculty of Psychology and Educational Sciences, and is dedicated to urgent problems within Psychological disciplines.

The journal publishes empirical, theoretical, methodological, and practice-oriented articles covering topics relevant to time sensitive problems of psychology and interdisciplinary studies. Particular consideration is given to empirical articles using quantitative, qualitative, and mixed methodology. The journal welcomes manuscripts from scholars throughout the world, including research from multi-site international projects and work that has the potential to be adapted and implemented worldwide to address the needs of diverse populations, cultures, and communities.

**Editor:** Lali Surmanidze

**Executive Secretary:** Dimitri Chubinidze

**Representative Board:** Davit Charkviani (Georgia), Irakli Imedadze (Georgia), Aljoscha Neubauer (Austria), Lia Kvavilashvili (UK), Ketevan Tchanturia (UK)

**Editorial Board Members:** Tamar Gagoshidze (Georgia), Marine Chitashvili (Georgia), Božydar Kaczmarek (Poland), Iamze Kutaladze (Georgia), Tara Murphy (UK), Nana Sumbadze (Georgia), Daniel Stark (UK), Natela Imedadze (Georgia), Dali Parjanadze (Georgia), Mzia Tsereteli (Georgia), Medea Despotashvili (Georgia), Luiza Arutinovi (Georgia), Maia Robaqidze (Georgia)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019

ISSN 2667-9027

## შინაარსი

<b>დავით ჩარკვიანი.</b> ალბათური მსჯელობა და განწყობის ეფექტები .....	7
<b>David Charkviani.</b> Probability judgment and effects of the set .....	15
<b>N. Sumbadze, B. Mitchenek, J. Regulska, A. Kitiashvili, E. Pirtskalava, T. Makharadze, M. Maisuradze.</b> Anxiety in the Narratives of the Displaced by the War Population .....	16
<b>ნათია სორდია, ხათუნა მარწყვიშვილი.</b> ზღურბლის ეფექტი: ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მიმართება ემოციურ შემოქმედებითობასთან .....	26
<b>Natia Sordia, Khatuna Martskvishvili.</b> Threshold hypothesis: the relationship between emotional intelligence and emotional creativity .....	37
<b>მარიამ კვიციანი, მაია მესტვირიშვილი.</b> რა აყალიბებს მაღალ მიმღებლობას – მორალური ორიენტაციის წყარო და ფსიქოლოგიური მოქნილობა .....	38
<b>Mariam Kvitsiani, Maia Mestvirishvili.</b> What shapes high acceptance – moral orientation and psychological flexibility .....	56
<b>ეკა ნადირაძე, თეონა ლოდია.</b> ფსიქოლოგიური მოუქნელობის კავშირი დეპრესიისა და აგრესიის მახასიათებლებთან .....	59
<b>Eka Nadiradze, Teona Lodia.</b> Relationship between psychological inflexibility, depression and aggression .....	71
<b>Maia Machavariani-Tsereteli, Lali Surmanidze, Tamar Gagoshidze.</b> Stigma and Self-Stigma in Adolescents with Epilepsy psycho-seantic approach .....	72
<b>თამარ გველესიანი.</b> სოციალური იდენტობისა და სოციალური მხარდაჭერის როლი აკადემიურ სტრესთან გამკლავებაში – პირველკურსელი სტუდენტების გამოცდილება .....	80
<b>Tamar Gvelesiani.</b> The Role of Social Identity and Social Support in Overcoming Academic Stress – First Year Students’ Experience .....	88
<b>ნოდარ ბარამიძე.</b> ზოგიერთი მოსაზრება ნებისყოფის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ .....	89
<b>Nodar Baramidze.</b> Some Opinions about the Psychological Nature of Willpower .....	94
<b>Marine Chitashvili.</b> Book review: Thoma H. Kachele H. Psychoanalytic Therapy: Basics. Vol.1. 2017. Publishing House “Nekeri”. (Georgian Translation) .....	96



## ალბათური მსჯელობა და განწყობის ეფექტები

### დავით ჩარკვიანი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

#### აბსტრაქტი

მოცემულ სტატიაში ალბათურ მსჯელობათა მოქმედების მექანიზმი განწყობის ფსიქოლოგიაში შემუშავებული თეორიული პრინციპებისა და ემპირიული კვლევით მოპოვებული მონაცემების გათვალისწინებით არის განხილული. ნაჩვენებია ალბათურ (სარისკო) და რაოდენობრივ (სტატიკურ) მსჯელობებთან ობიექტური და სუბიექტური შეფასებითი ეტალონების მიზეზობრივი კავშირის თავისებურება. პირველი სახის ეტალონში, შინაარსეულად, არსებული ვითარების თვალსაჩინო თვისებებია ასახული, ხოლო მეორეში, ამოცანაზე მიმართული განწყობის აღნაგობრივი მახასიათებლებია მოცემული. გაანალიზებულია ემპირიული მონაცემები, რომლებიც ალბათურ მსჯელობაზე პროსპექტული (გრძელვადიან შედეგზე მიმართული) და სიტუაციური (მოკლევადიან შედეგზე მიმართული) განწყობების განსხვავებულ მადეტერმინირებელ გავლენას ეხებიან. გარდა ამისა, ემპირიულ კვლევაში გათვალისწინებულია აგრეთვე მსჯელობაზე გავლენის მომხდენი ორი შემდეგი ფაქტორი: მაკორეგირებელი ინფორმაცია (მსჯელობათა ლოგიკური და სტატისტიკური საბუთიანობის სხვადასხვა ნიშნები) და ალბათურ მსჯელობათა სიზუსტის შესახებ უკუკავშირი (განხორციელებულ მსჯელობათა ხარისხის შემფასებელი ობიექტური ინფორმაცია). ივარაუდებოდა, რომ ალბათურ მსჯელობაზე ამ ფაქტორთა გავლენის ეფექტი განწყობის რომელობამ უნდა განსაზღვროს. გარდა ამისა, ამჟამად არსებული ემპირიული მონაცემების გათვალისწინებით, ალბათურ მსჯელობათა კორექციის საშუალებებია გამოყოფილი და მათი ქმედითობის ხარისხია მითითებული.

**საკვანძო სიტყვები:** ალბათური მსჯელობა, პროსპექტული განწყობა, სიტუაციური განწყობა, შეფასებითი ეტალონი, კოგნიტური შეცდომა

#### შესავალი

აზროვნების კანონზომიერებათა შესწავლის მიმართულებით მნიშვნელოვანი გამოკვლევები განწყობის ფსიქოლოგიის წარმომადგენლებმა განახორციელეს. მათი კვლევის საგანი აზროვნების არსებითი მახასიათებელი, კერძოდ, განზოგადების პროცესი და, შესაბამისად, სიტყვების განცდისეული მნიშვნელობა გახლდათ. ანალიტიკური და ექსპერიმენტული კვლევით მოპოვებული ზოგადი შედეგი ფრიად მნიშვნელოვანია იმ ფსიქიკური მექანიზმების გამოსავლენად, რომლებიც სხვადასხვა სახის ყოველდღიურ ცნებათა ჩამოყალიბებასა და მოქმედებას განაპირობებენ (ნადირაშვილი, 2013; რამიშვილი, 1968). მოპოვებულმა თეორიულმა და ცდისეულმა მონაცემებმა ინდუქციურ მსჯელობათა ფსიქო-ლოგიკური თავისებურების დადგენაში საგულისხმო წვლილი შეიტანეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში აზროვნების ემპირიული კვლევა სათანადო ყურადღების გარეშე დარჩა.

შემდგომში ვითარება სასიკეთო მიმართულებით შეიცვალა, კერძოდ, განხორციელდა გამოკვლევები, რომლებშიც შესწავლილია ფორმალურ-ლოგიკურ დასკვნებზე ემოციურ მდგომარეობათა გავლენა, რაოდენობრივი მასალის ინტუიციური წვდომა, მსგავსება-განსხვავების შეფასებებში ასიმეტრიის ეფექტი, ეგზემპლარული და პროტოტიპული მოდელების თავისებურება (აბაშიძე, 2001; ვახანია, 2005; კენჭაძე, 2006). ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აზროვნების მიმდინარე კვლევაში ალბათური მსჯელობის თავისებურება ნაკლებადაა გათვალისწინებული. სწორედ აღნიშნული „დანაკლისის“ ნაწილობრივი ანაზღაურების მცდელობად შეგვიძლია ჩავთვალოთ მოცემულ სტატიაში განხილული კონცეფტური საკითხები და სათანადო ემპირიული მონაცემები.

მიგვაჩნია, რომ ალბათური აზროვნების თავისებურებათა ცდისეული შესწავლა შემდეგს უნდა ითვალისწინებდეს: სუბიექტის მსჯელობა, გადანყვეტილებათა მიღება, სათანადო დასკვნების გამოტანა, განწყობის ფორმირება და ქცევის განხორციელება გარკვეული ხარისხის მქონე განუსაზღვრელობის პირობებში მიმდინარეობს. განუსაზღვრელობის ვითარებაში ადამიანის მიერ მასზე მოქმედი მრავალმხრივი ინფორმაციის გადამუშავებისა და სათანადო გადანყვეტილებათა მიღების მნიშვნელოვან საშუალებას ევრისტიკული სტრატეგიები წარმოადგენენ. ევრისტიკული სტრატეგიების გამოყენების შემთხვევაში ისეთ შემეცნებით აქტივობასთან და რეალურ ქცევასთან გვაქვს საქმე, რომლებიც სუბიექტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და მისივე მიზანთა მიღწევას უზრუნველყოფს. ამისგან განსხვავებით, ჭეშმარიტი რაციონალობა ისეთი შემეცნებითი მოქმედების და ქცევის რეალიზაციას გულისხმობს, რომლებიც ფორმალურ ლოგიკაში და ალბათობის თეორიაში არსებულ მოთხოვნებს შეესაბამებიან. ამის გამოა, რომ ევრისტიკულ პრინციპებზე დაფუძნებული ალბათური აზროვნება „შეზღუდული რაციონალობის“ გამოვლენად არის მიჩნეული. ნიშანდობლივია, რომ ემპირიული შედეგების თანახმად, ადამიანები განწყენებულ პრობლემათა გადანყვეტის შემთხვევაში მნიშვნელოვან სირთულეს აწყდებიან. ამავე დროს, მონაცემები იმაზეც ნათლად მეტყველებენ, რომ ამგვარად ნაკლებად ხდება მათთვის ჩვეულ სიტუაციებში, რომლებშიც ისინი აზროვნების კონკრეტულ (პრაქტიკულ) ოპერაციებს საკმაოდ კარგად ეუფლებიან, რაც მათ შემდგომ იმავე ყოველდღიურ-ცხოვრებისეული საკითხების საკმაოდ ქმედითი გადანყვეტის საშუალებას აძლევს. სწორედ ამიტომ არის „შეზღუდული რაციონალობის“ განმსაზღვრელი ფსიქო-ლოგიკის შესწავლა ძალზე ღირებული.

## შეფასებითი მსჯელობის ეტალონები

ადამიანის პერცეფტული აქტივობის თვისებრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების თეორიულ-მეთოდოლოგიური და ექსპერიმენტული შესწავლა მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო და მომავალშიც იქნება, რადგან თვით აღქმის პროცესი მრავალგანზომილებიანი ზოგადი შემეცნებითი მოქმედების საფუძვლად გვევლინება (Schwarz & Bless, 1992; Stapel & Winkielman, 1998) განწყობის ფსიქოლოგიაში ამ მიმართულებით, სათანადო თეორიული პრინციპების



გათვალისწინებით, ფრიად ნაყოფიერი შესწავლა მიმდინარეობდა. მრავალმხრივი ცდისეული კვლევა-ძიება შემდეგ ძირითად თეორიულ პრინციპზეა დამყარებული: ალქმა გარემოს ზემოქმედებაზე არა პასიური, არამედ ადამიანის მიერ საგნებისა და მოვლენების როგორც ფსიქოფიზიოლოგიური, ასევე ფსიქოსოციალური ასახვის აქტიური პროცესია. განსაკუთრებით საყურადღებოა ალქმის შინაარსეული მხარისა და მისი ინტენსივობის განმაპირობებელ ფაქტორთა ანალიზის საფუძველზე გამოყოფილი კონცეფტური პრინციპები, რომლებმაც განწყობის ფსიქოლოგიაში მომუშავე მკვლევართა ექსპერიმენტული საქმიანობა, საკითხთა აქტუალობის გათვალისწინებით, კვლევის სათანადო მეთოდური ხერხების უზრუნველყოფისკენ წარმართეს. კვლევითი მუშაობა ადამიანის აქტივობის სხვადასხვა ფორმას მოიცავს, კერძოდ, სენსომოტორული მოქმედებით დაწყებული, სოციალური ქცევით დამთავრებული. ამგვარი კვლევა პერცეფტული ეტალონების, ალქმისეული ადაპტაციის, კონტრასტ-ასიმილაციური სახის შეფასებებთან და სათანადო ქცევით ეფექტებთან არის დაკავშირებული. პერცეფტული ეტალონების მოქმედების მექანიზმთან და ალქმისეული ადაპტაციის პროცესთან დაკავშირებით შოთა ნადირაშვილი აღნიშნავდა: „ორგანიზმში არსებული მგრძნობელობითი შინაარსის ინტენსივობა გამლიზიანებელთა აბსოლუტურ ინტენსივობაზე არაა დამოკიდებული. ადაპტაციის ყოველი მოცემული დონე, ამავე დროს, გარემოსადმი სუბიექტის გარკვეული პოზიციის არსებობას გულისხმობს, ადაპტაციის ცალკეულ დონეზე ყოველ სუბიექტს საკუთარი სპეციფიკური ათვისების წერტილი გააჩნია. ამიტომ, ერთი და იგივე სიძლიერის მქონე გამლიზიანებლებს განსხვავებული ხარისხის მგრძნობელობითი შინაარსები შეესაბამებოდა“ (ნადირაშვილი, 1976). ამდენად, სუბიექტის პოზიცია, როგორც შეფასებითი ათვისების წერტილი, სათანადო პერცეფტული ეტალონია. ალქმისეული ეტალონი სუბიექტური კრიტერიუმია, რომელიც მოსულ ინფორმაციაზე მისი რეაგირების თავისებურებათა როგორც შინაარსეულ, ასევე რაოდენობრივ მხარეს განსაზღვრავს. პერცეფტული ეტალონები, როგორც ერთობლივი სისტემა, ადამიანის მრავალმხრივი შემეცნებითი მოქმედების განმსაზღვრელ განწყობათა თვისებრივ და სტრუქტურულ მხარეს გამოხატავენ. ნეიტრალური გამლიზიანებულები (ობიექტები, მოვლენები) ალქმისა და მათ შესახებ მსჯელობის სათანადო კონტექსტს ქმნიან, რომელსაც არსებითი წვლილი შეაქვს როგორც ასიმილაციური და კონტრასტული შეფასებების, ასევე შესაბამისი ქცევის დეტერმინაციაში. აღსანიშნავია ისიც, რომ კონტრასტისა და ასიმილაციის ეფექტები არსებული ობიექტური პირობებისადმი სათანადო ადაპტაციური მექანიზმებს გამოხატავენ. კერძოდ, იგულისხმება, რომ ასიმილაციური შეფასების შემდეგობით შემეცნების სუბიექტი მოცემული გარემოს მახასიათებლებს „იმსგავსებს,“ ხოლო კონტრასტული შეფასების საშუალებით თვითონ იცვლება და არსებული გარემოს მახასიათებლებს „ემსგავსება.“ აღსანიშნავია, რომ, ჩვენთან, ობიექტური (რეალური ვითარების თვისებათა ამსახველი) და სუბიექტური (ამოცანაზე მიმართული განწყობის თვისებათა გამომხატველი) ეტალონების ექსპერიმენტული შესწავლა, ძირითადად, ადამიანის სენსომოტორული აქტივობის სფეროშია განხორციელებული.

ნიშანდობლივია, რომ პერცეფტული ეტალონების კვლევა ალბათურ და რაოდენობრივ შეფასებათა თავისებურების გათვალისწინებით, ფაქტობრივად, არ წარმოებდა. საგულისხმოა ისიც, რომ ამგვარ კვლევაში განუსაზღვრელობა, როგორც შეფასებათა უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორი, ფსიქიკაში სუბიექტური ალბათობის სახით არის წარმოდგენილი, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მას არა მხოლოდ რისკის შემცველი მოვლენების, არამედ შედარებით სტატისტიკური ობიექტების შეფასებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. ჩვენ მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ გამოკვლევაში დამოუკიდებელ ცვლადებს კონკრეტულ ქვეყნებში მოსახლეობის ნამდვილი რაოდენობრივი მონაცემები და სხვადასხვა მიზეზით გამონეული სიკვდილიანობის რეალურად სანდო ალბათური მაჩვენებლები წარმოადგენდნენ, ხოლო დამოკიდებული ცვლადების როლში ცდისპირთა მიერ იმავე ობიექტების რაოდენობრივი და ალბათური შეფასებები გამოდიოდნენ. კვლევა ჩატარდა ცდისპირთა ორჯერადი გამოკითხვის გამოყენებით, ანუ ჯერ დადგენილ იქნა მათი საწყისი შეფასებები, ხოლო ობიექტური ეტალონების ცალკეულ ნიმუშთა მინოდების შემდგომ იმავე მასალის მეორადი შეფასებები გაიზომა. მიღებული შედეგის თანახმად, ობიექტური ეტალონის ნიმუშთა შემოტანამ ალბათურ შეფასებებთან (სიკვდილიანობის მიზეზების დამდგენი) შედარებით, რაოდენობრივ შეფასებებზე (მოსახლეობის რაოდენობის დამდგენი) უფრო მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ამავე დროს, ორივე სახის შეფასებებში მომხდარი ცვლილებები შემოტანილი ეტალონის სიდიდის მიმართულებით წარიმართა, ანუ ზემოქმედება შინაარსობრივად „ასიმეტრიული“ გახლდათ. ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასა და მისი ტერიტორიის შეფასებებს შორის მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია გამოვლინდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობის რაოდენობა, ფაქტობრივად, მისი ტერიტორიის სიდიდის მიხედვით ფასდებოდა, ანუ ის სუბიექტური ეტალონის ფუნქციას ასრულებდა (ჩარკვიანი, 2014).

## სიტუაციური და პროსპექტული განწყობები

ემპირიული კვლევის ზოგადი მონაცემების თანახმად, რაც უფრო ნათელი, კონკრეტული და, ხშირად, რთულია ადამიანის ან ჯგუფის მიერ დასახული მიზანი, მით უფრო დიდია სათანადო ქცევის განხორციელების მიმართულებით გამოვლენილი ძალისხმევა, ხოლო საკუთრივ რეალიზებული ქცევაც მით უფრო ქმედითია (ჩარკვიანი, 2014). მიზანდასახული ქცევის განხორციელებაში გამოვლენილი ძალისხმევის ხარისხი, თავის მხრივ, ამა თუ იმ ვითარებაში ფორმირებული განწყობის შინაარსით (რომელობით) განისაზღვრება. დროის პარამეტრის გათვალისწინებით, პროსპექტული და სიტუაციური განწყობები გამოვყავით, პირველი მიმართულია მომავალ შედეგზე, ხოლო მეორე – ამჟამინდელზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასახული მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, პირველს სტრატეგიული, ხოლო მეორეს ტაქტიკური მნიშვნელობა გააჩნია. იგულისხმება ისიც, რომ მიზანდასახული ქცევის ფსიქიკური შინაარსის თავისებურებიდან გამომდინარე, ორივე სახის განწყობათა ფუნქციონირება ცნობიერების ფარგლებში სპეციფიკური კანონზომიერებით მიმდინარეობს. აქვე აღვნიშნავთ იმას, რომ გადაწყვეტილებათა მიღების ნორმატიული (ფორმალური) მო-

დელის მიხედვით, ქცევაში გამოვლენილი ძალისხმევის (და არა საკუთრივ ქცევის ეფექტურობის) დეტერმინაცია შემდეგნაირად არის გამოსახული:  $W = E (IV)$ , სადაც  $W$ -სუბიექტის მიერ დახარჯულ ძალისხმევას ნიშნავს,  $E$  – სუბიექტის მოლოდინს იმის შესახებ, რომ მისი ქცევის ეფექტურობას მისივე ძალისხმევა განაპირობებს,  $I$  გამოხატავს ინსტრუმენტულობას, ანუ სუბიექტის იმის შესახებ ვარაუდს, რომ მისთვის სასურველი შედეგის მიღება მის მიერ განხორციელებული ქცევის ხარისხით განისაზღვრება,  $V$  – ქცევიდან გამომდინარე შედეგის სუბიექტური ღირებულების გამომხატველია. რამდენად შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებს განწყობისეული მსჯელობა, რასაკვირველია, ექსპერიმენტულმა კვლევამ უნდა გვიჩვენოს.

მიმართოთ ჩვენს გამოკვლევას, რომელშიც ალბათურ მსჯელობებსა (შესაფასებლად მიცემულ ალტერნატიულ დებულებათა შორის არჩევანი) და შემდეგ ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირი იყო შესწავლილი: სიტუაციური განწყობა (ანუ მოქმედების მიღებაზე სუბიექტის მცირე ძალისხმევითი მომართულობა, ანუ ცდისპირი, არსებული ვითარების გათვალისწინებით, მიცემულ დავალებას მხოლოდ კონკრეტული სააზროვნო უნარის გასავარჯიშებლად ასრულებს), პროსპექტული განწყობა (მომავალში შედეგის მიღებაზე სუბიექტის საკმაო ძალისხმევითი მომართულობა, ანუ ცდისპირი, მომავალი ვითარების გათვალისწინებით, იმავე დავალებას საგამოცდო საგანში სასურველი შეფასების მისაღწევად ახორციელებს), კოგნიტური შეცდომის გამასწორებელი ინფორმაცია (შეიცავს ალბათურ მსჯელობათა ფორმალური და ნორმატიული საბუთიანობის სხვადასხვა პრინციპებს, მაგალითად, ორი გაერთიანებული მოვლენის ალბათობა, ცალკეული მოვლენის ალბათობას არ აღემატება), უკუკავშირი (განხორციელებულ მსჯელობათა ხარისხის შესახებ ობიექტური ინფორმაცია) და სუბიექტის საკუთარი პასუხების სისწორეში დარწმუნებულობა. გამოკვლევა მრავალჯერადი გამოკითხვის გამოყენებით ჩატარდა და გაიზომა ალბათურ მსჯელობებზე მაკორეგირებელი ინფორმაციისა და უკუკავშირის ზემოქმედების ხარისხი. გამოკვლევაში ცდისპირთა ალბათური მსჯელობების შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი სახის მასალა: რეპრეზენტატულობის ევრისტიკა (სუბიექტის მიერ კატეგორიის, ანუ მთლიანი პოპულაციის და მასში შემავალი მოვლენების, ანუ მცირე ამონაკრების გაიგივების ტენდენცია), ხელმისაწვდომობის ევრისტიკა (სუბიექტი ეყრდნობა პრინციპს, რომლის თანახმად, რაიმე მოვლენის განხორციელება მით უფრო მოსალოდნელია, რაც უფრო ადვილია ამ მოვლენის დამახსოვრება) და დებულებათა ფორმულირების ეფექტი (შინაარსეულად იგივეობრივი, მაგრამ წინადადებათა გამოხატვის თვალსაზრისით დილემური ვითარების აღწერა).

მიღებული ზოგადი შედეგის თანახმად, ალბათურ მსჯელობაზე, დადებითი ეფექტის თვალსაზრისით, სიტუაციურ განწყობასთან შედარებით, მნიშვნელოვნად უფრო დიდი გავლენა პროსპექტულმა განწყობამ მოახდინა. ეს შედეგი, თავისთავად, იმაზე მიგვანიშნებს, რომ მაკორეგირებელი ინფორმაციის და უკუკავშირის ეფექტურობა, ძირითადად, სწორედ პროსპექტულმა განწყობამ განაპირობა. კერძოდ, აღნიშნულ ცვლადებს შორის შემდეგი შინაარსეული სახის მიმართება გამომჟღავნდა: ალბათური მსჯელობის სისწორეში დარწმუნებულობის საშუალო ხარისხი პროსპექტული განწყობის მოქმედების შემთხვევაშია მიღებული, ხოლო სიტუაციურმა განწყობის

ყობამ მსჯელობის სისწორეში თვითდაჯერების ფაქტის გამოვლენა განაპირობა; უკუკავშირის გავლენის შედეგად პროსპექტული განწყობის მქონე ჯგუფში მცდარი მსჯელობების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, რასაც ვერ ვიტყვით სიტუციური განწყობის მქონე ჯგუფის შესახებ. ეს მონაცემი იმაზე მიგვანიშნებს, რომ უკუკავშირის გავლენა ალბათური მსჯელობის ქმედითობაზე, არსებითად, პროსპექტული განწყობით იყო გაშუალებული: მისი ეფექტი მაშინ ვლინდება, როდესაც სუბიექტი აცნობიერებს იმას, რომ მის რეალურ ქცევას ზოგადი და ღირებული მიზნის მიღწევაში ინსტრუმენტული ღირებულება გააჩნია (Lock, Shaw, Saari & Lathem, 1981).

მიღებული მონაცემები, ნათლად გვიჩვენებენ, რომ გამოკვლევაში მონაწილე პირების ალბათური მსჯელობა გადანყვეტილებათა მიღების ნორმატიული მოთხოვნების მიხედვით არ მიმდინარეობს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის განხორციელება შეუძლებელია, რადგან სათანადო წინაპირობათა შექმნამ დადებითი შედეგი უნდა მოგვცეს (ამაზე მოკლედ ქვემოთ შევჩერდებით). აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ განუსაზღვრელობის პირობებში თვისებრივი ბუნების მქონე მოვლენებს შორის არსებულ მიმართებათა სუბიექტური შეფასების გარდა რაიმე ალტერნატიული საშუალებები არ გაგვაჩნია. მაგალითად, მყარ, სტაციონარულ ვითარებებში სიხშირეთა განაწილების საფუძველზე მოვლენათა ხდომილების ობიექტურ ალბათობას ვითვლით. ამისგან განსხვავებით, ისეთი პიროვნული და სოციალური შინაარსით დატვირთული მოვლენების, ვთქვათ, განსასჯელის მიერ საკუთარი საქციელის მონანიების ან რაიმე საქმეში ჩადებულ ინვესტიციათა გამართლების შესახებ ალბათობის დადგენის ობიექტური კრიტერიუმი, ფაქტობრივად, არ არსებობს. ამავე დროს, ისიც ეჭვგარეშეა, რომ ალბათური აზროვნება, ევრისტიკული მსჯელობის გათვალისწინებით, გადანყვეტილებათა მიღებისა და მიზანდასახული ქცევის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი მოვლენა გახლავთ და მისი კვლევა მომავალშიც აქტუალურ პრობლემად დარჩება.

## კოგნიტური შეცდომები

ამჟამად, ალბათურ მსჯელობათა კვლევის პროცესში კოგნიტურ შეცდომათა კორექციის სათანადო საშუალებების გამოყოფა ნამდვილად მნიშვნელოვან საკითხად გვევლინება. მკვლევართა მიერ კოგნიტურ შეცდომათა გასწორების შემდეგი ხერხების დახვეწაზეა ყურადღება გამახვილებული: ცალკეულ ვითარებებში ახალი სავარაუდო „შენაძენისა“ და „დანაკარგის“ ექსპერიმენტულ პირობებში მანიპულირება, მოცემულ დებულებათა ფორმულირებაში და მათი მიწოდების თანამიმდევრობაში სათანადო ცვლილების შეტანა, უშუალო გამასწორებელი ინსტრუქტირება, ირიბი მიწინების მეშვეობით ინფორმაციის მიწოდება (გამოყენებულია ჩვენს გამოკვლევაში) და ა.შ. მიღებული განზოგადებული შედეგის თანახმად, აღქმისეული შეცდომები არსებითად გამოწვეულია იმით, რომ გამლიზიანებლებსა და პერცეფტულ (განცდისეულ) შეფასებებს შორის პირდაპირი ერთმნიშველოვანი კავშირი არ დადასტურდა, ამდენად კოგნიტური შეცდომების კორექცია აღნიშნული კავშირის გამომხატველ მრუდზე შემფასებელი სუბიექტის ისეთ გადანაცვლებას საჭიროებს, რომელიც მოვლენათა

შესახებ მის შეფასებით მსჯელობას მეტი გარჩევითობის (დისკრიმინაციის) საშუალებას მისცემს. მაგალითად, კოგნიტური შეცდომების მნიშვნელოვანი შემცირება იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც შინაარსეულად იდენტური, მაგრამ სიტყვიერად სხვადასხვაგვარად ფორმულირებული ორი დილემა შესაფასებლად არა ორს (მონაცემთა შედარების საჭიროება), არამედ ერთდროულად გარკვეული თანამიმდევრობით ერთ ცალკეულ ჯგუფს მიენოდება.

მსჯელობის შინაარსეული მხარე, შესაბამისად შეცდომებიც, შესაფასებელი ობიექტის სტრუქტურული თავისებურებით განისაზღვრება, რაზეც შემდეგი მარტივი მაგალითი მიგვითითებს. ცდისპირთათვის მიწოდებული ჰიპოთეზური ინფორმაციის თანახმად, ვინმე X-მა ლატარიის ორ გათამაშებაში, შესაბამისად, \$75 და \$75 მოიგო, ხოლო Y-ს \$75 ერთ ცალკეულ გათამაშებაში ერგო. ცდისპირებს დაუსვეს კითხვა იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი იქნებოდა უფრო კმაყოფილი მოგებით. შედეგის თანახმად, გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ ჩათვალა, რომ X-ი Y-თან შედარებით უფრო კმაყოფილი დარჩებოდა, რადგან მას ორი დამოუკიდებელი მოგება ხვდა წილად. სავარაუდოა, რომ ამგვარი პასუხი იმით იყო განპირობებული, რომ შენაძენის და დანაკარგის მრუდზე მოცემული ალტერნატიული ვითარების შეფასება მოგებათა არეს მიეკუთვნებოდა. ცდისპირთა მსჯელობის თანახმად, ორი დამოუკიდებელი შესაფასებელი მონაცემი ერთ „მარტივ“ მონაცემთან შედარებით, უფრო ღირებულია, ანუ  $V(25)+V(50) > V(25+50)$ . ამდენად, არსებობს ისეთი ვითარება, რომელშიც რაოდენობრივად ერთნაირი შედეგის განმსაზღვრელი მოგების დანაწევრება, მათ გამთლიანებასთან შედარებით, არჩევანის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი ხდება, რომლის გათვალისწინებაც მცდარი ალბათური შეფასების კორექციის შესაძლებლობას იძლევა. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს მცდარი შეფასების შემდეგი ფაქტორიც, კერძოდ, სემანტიკური მეხსიერება მოვლენათა შორის მიმართებათა ავტომატურ და სწრაფ გახსენებას განაპირობებს. ამავე დროს, მოცემული ვითარებისთვის შეუსაბამო ასოციაციების ამოქმედებამ შეიძლება მსჯელობა ისეთი მიმართულებით წარმართოს, რომელიც კოგნიტურ შეცდომებს გამოიწვევს. ამგვარი შეცდომების გასწორება არსებული ვითარებისთვის შესაბამისი სემანტიკური კავშირების აღმძვრელი რეალურ მოქმედებათა განხორციელებით შეიძლება (Gilovich, Griffin & Khaneman, 2002).

## დასკვნა

ემპირიულ კვლევაში გათვალისწინებული გვექონდა მოსაზრება, რომლის თანახმად, მსჯელობათა ფსიქო-ლოგიკის თავისებურებიდან გამომდინარე, საგანთა და მოვლენათა ალბათური შეფასების არსებით მხარეს მათ სისწორეში სუბიექტის დარწმუნებულობა წარმოადგენს. არჩევანის ვითარებაში რაიმე მოვლენის უპირატესობის მიმნიჭებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფსიქიკური ცვლადი სწორედ აღნიშნული ფაქტორი გახლავთ. ალბათურ შეფასებებსა და განწყობის ეფექტებს შორის მიზეზობრივი მიმართების ცდისეული შესწავლა პერცეფტული აქტივობის და მიზანდასახული ქცევის სფეროში განვახორციელებთ. აღქმისეული აქტივობის შესწავლის შედეგად მიღებულ მონაცემებთან დაკავშირებით საყურადღებო შემდეგია:

ექსპერიმენტულ ვითარებაში თავდაპირველად როგორც რაოდენობრივ, ასევე ალბათურ შეფასებებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კოგნიტური შეცდომები გამოვლინდა (უვარგისი შეფასებების ნათელი შედეგი), შემდგომ კი რაოდენობრივ შეფასებათა თვალსაჩინო შემცირება (დადებითი შედეგი) ობიექტური ეტალონის შემოტანამ განაპირობა, რაც ალბათურ შეფასებებში არ დადასტურდა. მიზანშეწონილი ქცევის შესწავლის შედეგთან მიმართებაში ნიშანდობლივი შემდეგია: სავარაუდო კოგნიტურ შეცდომათა მაკორეგირებელი ინფორმაციის მინოდების შემთხვევაში პროსპექტულმა განწყობამ, სიტუაციურთან შედარებით, ალბათური მსჯელობის შეცდომები მნიშვნელოვნად შეამცირა, ხოლო უკუკავშირის ზემოქმედებამ მისი დადებითი ეფექტი გააძლიერა. საგულისხმოა, რომ მსჯელობაში (უმეტესად მცდარში) თვითდაჯერების ეფექტი სიტუაციური განწყობის ამოქმედების შემთხვევაშია მიღებული, რაც კოგნიტური ილუზიის ტოლფასად შეიძლება ჩავთვალოთ. დაბოლოს, იმასაც აღვნიშნავთ, რომ მინოდებული ინფორმაცია და უკუკავშირი, როგორც კოგნიტურ შეცდომათა შემცირების საშუალება, უფრო ეფექტური პროსპექტული და სიტუაციური განწყობის თავისებურებათა სათანადო გათვალისწინების შემთხვევაში იქნება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- აბაშიძე, თ. სააზროვნო ამოცანის გადაჭრა, როგორც განწყობის დიფერენციაციის პროცესი. „თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები“. თბილისი, 2001.
- ვახანია, ზ. რაოდენობის ინტუიციური წვდომა. თბილისი, მაცნე, 2005, 2, 58-73.
- კენჭაძე, ნ. განზოგადების პრობლემა ცნების თანამედროვე თეორიებში. თბილისი მაცნე, 2006, 73-78.
- ნადირაშვილი, შ. განზოგადების განვითარება სასკოლო ასაკის ბავშვებში. თბილისი, 1963.
- ნადირაშვილი, შ. აღქმის ფსიქოლოგიური ბუნება. თბილისი, 1976.
- რამიშვილი, დ. მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის. თბილისი, 1968.
- ჩარკვიანი, დ. შეფასებითი მსჯელობა და ასიმილაციის ეფექტები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 3, 162-167, 2014.
- ჩარკვიანი, დ. განწყობის დროის პარამეტრი და ალბათური მსჯელობა. საქართველის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 3, 162-167, 2015.
- Gilovich, D., Griffin, W., Khaneman, D. Heuristics and biases. N.Y.: Cambridge University Press, 2002.
- Lock, E., Shaw, K., Saari., Lathem, G. Goal setting and task performance. Psychological Bulletin, 1981, 90, 125-152
- Schwarz, N., Bless, H. Constructing reality and its alternatives: An inclusion/exclusion model of assimilation and contrast effects in social judgments. In L. Martin, A. Tesser (Eds.). The construction of social judgments (pp, 217-245). N.Y.: Guilford Press, 1992.
- Stapel, D., Winkielman, P. Assimilation and contrast as a function contest-target similarity and dimensional relevance. Personality and Social Psychology Bulletin, 24, 634-646, 1998.

## PROBABILITY JUDGMENT AND EFFECTS OF THE SET

**David Charkviani**

*Grigol Robakidze University*

### Summary

This article examines functional peculiarities of probability judgments from the perspective of set psychology. We studied the impact perceptual standards on quantitative and probability evaluations (the level of human perceptual activity). Yielded following results: the introduction objective standards values (number of countries population and correct examples of mortality reasons) had a bigger impact on qualitative evaluations, then on probabilistic estimations. In these forms estimations of the degree of confidence and the knowledge revealed to the objects under evaluation showed high level of correlation. Relationship between those factors to be higher in the case of quantitative evaluations. Moreover, we investigated the influence prospective (orientation on the result of future event) and situational (orientation on result current event) sets on functioning probability judgments (the level of human purposive activity). Obtained data showed: prospective set, compared with situational set, made significant impact on the correction of erroneous probabilistic judgments. At the same time, it revealed, in the process of prospective sets functioning, stimulating impact of feedback (mark of the fulfilled task) on probabilistic judgment. It indicates the importance of cognitive fixation by subject of instrumental dependence between primary and secondary expected results.

**Key words:** *probability judgment, prospective set, situational set, evaluative standard, cognitive error*

## **ANXIETY IN THE NARRATIVES OF THE DISPLACED BY THE WAR POPULATION**

**Nana Sumbadze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**Beth Mitchenek**

*Arizona State University*

**Joanna Regulska**

*Rutgers University*

**Ani Kitiashvili, Ekaterine Pirtskalava, Tamar Makharadze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**Maia Maisuradze**

*Institute for Policy Studies*

### **Abstract:**

1908 August war was short but claimed many lives. Thousands have been displaced due to combat and bombing. Separation from the native places had a long lasting and severe effect on the well-being of population. Qualitative study was carried out to describe and measure the emotional reaction to war and displacement. Analysis of 5 minutes length narratives of the displaced population registered after 10 and 15 months from displacement by Gottshalk-Gleser method revealed high level of six types of anxiety measured by scales. The comparison of anxiety scores over time points at the persistence of negative emotional state induced by the war and at the importance of displacement, reflected both in number of references to displacement and separation anxiety scale scores.

**Key words:** **Displacement:** *war, anxiety, separation anxiety, place attachment, well-being*

### **1. Introduction**

Last decade witnessed dramatic increase of displaced population over the world, turning it into one of the top concerns of international politics. In 2017 the number of forced migrants in the world amounted to 65.6 million, among them more than half, 36.627 were internally displaced, these are people who stayed within official borders of their countries (UNCHR,2017). Displacement can be forced or volunteer. While voluntary relocation is often accompanied by positive changes (e.g.



upward mobility, economic gains) and can be planned, forced relocation is mostly sudden and is associated with worsened living conditions and well-being.

A forced migration is defined as “a migratory movement in which element of coercion exists, including threats to life and livelihood, whether arising from natural or man-made causes” (International Organization for Migration, 2011, p.39).

The Russian-Georgian war of August 2008, was a little war, lasting only 5 days but “nevertheless a little war that shook the world” (Asmus, 2010. p.4). It caused serious destruction and loss of human lives: Around 850 persons died and more than 100,000 fled their homes (IIFFMCG, 2009).

Flight, exposure to conflict related violence, witnessing death, mutilation and destruction induces stress reaction and triggers anxiety that consequently affects health outcomes (Teerawichitchainan & Korinek, 2012)). The impact of war related events on both mental and somatic health among affected by ethnic wars Georgian population is well documented through self-report assessments of health by standard measures (Report, 2012; Saxon, et al, 2017; Comellas, et al, 2015). Much less described or measured is affective-emotional reaction of population on events caused by the war.

Displacement was the experience that was shared by the majority of population. It is linked with disruption to place attachment. Place attachment involves positively experienced bonds between individuals and their socio-physical environment. Importance of place attachment is determined by its contribution to the formation, maintenance and preservation of the identity of a person, group, or culture (Riley, 1992). Hence individual, group and collective self-definition and integrity in a considerable degree rests on embeddings in the environment (Low., & Altman, 1992). Places are often experienced as extensions of self and are only fully realized when they have been disrupted (Brown., & Perkins, 1992).

Relocation is linked with depression and other forms of psychological distress (e.g. Alexopoulos, 2005). Craving to return to homeland, grieving on what was lost, displacement, were most often named complaints of displaced by war persons in Georgia (Report, 2012).

Exposure to combat and displacement are considered as severe traumatic life events, which generally are accompanied by high levels of anxiety (Palmer et al, 2016).

Cambridge dictionary defines anxiety as “uncomfortable feeling of nervousness or worry about something that is happening or might happen in future”.

## **2. Aim of the study**

Events causing disruption and relocation of whole communities happen rarely in the context of one country, although are not seldom worldwide. War causes drastic changes to whole communities, disrupting and jeopardizing the lives of hundreds and thousands of its members. Effect of war is multiple and complex. It invariably changes affective-emotional states of the individuals involved in it (Palmer et al, 2016) , especially of those who experience bombing, witness atrocities, are exposed to the threat to life, see dead and wounded, loose the members of the family and loved ones. Impact of war is aggravated by displacement, that entails losing houses, farm animals, small businesses, plots and gardens, but also objects, photos, graves, views and water springs, all that connects persons with their past (Cutchin, 2001). Due to its magnitude, unique character and effect on well-being, any such event demands special attention, description and analyses.

The analysis reported in the article is a part of the study: "Forced Migrants Living in Post-Conflict Situations: Social Networks and Livelihood strategies" supported by National Science Foundation, USA. Article presents description of affective-emotional state of the individuals who experienced the war and displacement in 2008 war, analyses the content of verbal communication on respondents' interesting or dramatic life event and measures magnitude and stability of different types of anxiety manifested in the stories of displaced population. Death, mutilation, separation, shame, guilt, diffuse scores and aggregated score of overall anxiety are registered twice; Stability of anxiety and its scope in regard to the exposure to different war-related experiences are measured. The effect of background characteristics, such as age and sex of the respondents, exposure to death, wounding and combat are also examined.

### **3. Method and procedure**

Article describes the results of the qualitative part of the study based on Gottschalk-Gleser method (Gottschalk and Gleser, 1969) and analyzes the verbal samples obtained from the displaced population.

Gottschalk and Gleser instrument makes possible to measure magnitude of a mental or emotional state by content analysis of verbal material elicited in the least obtrusive way?, as interviewer before taking the speech sample informs respondents, that would not neither put a question or respond to any until completion of 5 minutes.

Displaced as a result of the 2008 August War 60 persons, residing in four settlements specially built for them were recruited and visited twice, after 10 and 15 months from displacement.

Respondents received a standard instruction to talk 5 minutes about interesting or dramatic event of their lives. The instruction is supposed to elicit speech approximating free association and minimizing the influence of interviewer's behavior in determining speech content. Videotaped speech samples were transcribed.

Five researchers content-analyzed the transcribed texts, identified the topics of the narratives and subjected the text to analysis according to Gottschalk-Gleser scales.

Strictly following the manual (Gottschalk-Gleser, 1969) scores were standardized on 100 words and constant .50 was added to all scores to make different length of samples comparable. Thus standardization of scores permits the comparison of results between the respondents as well as between the samples obtained from the same respondents over time. The scales has been tested on Georgian population (Hentschel, et al. 1996).

Anxiety scale taps subjective awareness of the anxiety and classifies anxiety into six types: death, mutilation, separation, guilt, shame and diffuse or non-specific anxiety. Grammatical clause serves as the unit of content analysis. Scoring of narratives on affective scales rests on the following assumptions: Everyday language besides deliberately intended messages also contains indicators of affective state of the speaker; Statements reflect an equivalent amount of current anxiety whether they pertain to the past, present or future; The more anxiety person feels, more is the probability that he/she will speak about it directly, referring to him/herself, rather than indirectly, referring to others or even inanimate things. Therefore more weight is ascribed to the direct indications of anxiety;

Denials of anxiety are also scored as they serve as manifestations of existing anxiety; subtypes of anxiety are of equivalent importance to the magnitude of overall anxiety, therefore the mean scores of all six types are summed up to obtain measure of total anxiety (Gottshalk and Gleser, 1969).

Five researchers independently scored the same verbal samples. The group discussion determined the final scores when interscorer reliability reached 0.80 as is considered a standard (Viney, 1983).

Verbal samples were taken from 60 persons, but only 43 respondents, 44.2 percent male and 55.8 percent female satisfied the requirement of minimum 100 words of narrative for scoring speech samples in both rounds. So that 86 samples were scored. Half of interviews were taken at the first, i.e. June, 2009 and the second half at the second, i.e. November, 2009 round of enquiry.


## 4. Results

### 4.1. Topics

Given the freedom to talk about any dramatic or interesting event of their lives respondents mostly choose to talk about the war, although narratives often referred to more than one topic and covered four time periods: time before the beginning of ethnic tension, i.e. before nineties of XX century, period of tensions, 5 days of war and period after the displacement. The topics changed over time, majority (60.5 percent) recalled the different, 32.6 percent somewhat different and 7.0 percent exactly similar episodes in the two rounds.

War related experiences were rather similar for all the respondents. All had to escape, though threats and difficulties associated with leaving native places were different. 88.1 percent experienced bombing, 66.7 percent was exposed to direct combat and 47.6 percent saw the dead and wounded

If in the first round of the field work all the narratives to some degree covered war – escape, combat or bombing, in the second round the share of those who talked about the war decreased to 67.4 percent. At the same time narratives faded, became less laden with emotions.



Gr. 1

War related topics in narratives of the first and the second rounds

N. Sumbadze, B. Mitchenek, J. Regulska, A. Kitiashvili, E. Pirtskalava, T. Makharadze, M. Maisuradze

Exposure to war was linked with narrative topics. Escape seems to be the most dramatic and experienced by everyone event, as 90.7 percent of respondents talked about it after 10 and 46.5 percent after 15 months.

Respondents were accustomed to tensions and shootings, but did not expect war and displacement.

*We did not have a slightest idea about probability of war. Ossetian villages were warned, people were leaving, taking their furniture, all the possessions, and we were only laughing at them.- they are mad, what they are doing? We had no idea what was to happen (51 years old male).*

Almost entire Georgian population had to flee, even those whose villages were not affected by bombing or battle. Villagers did not have much time, they had to escape quickly and to use any means for it. They were confused, not knowing what to take and what to do with the cattle, domestic and farm animals. Abandonment of animals haunted them for months.

*Two days would not pass if I do not recall this, regret and cry. I remember my house, everything I had, my fingerprints on everything. I remember how the bullets were showering, how airplanes flew in...My neighbors were looking for me, but I was collecting hens, cows and did not know what to do with them, to leave the door open or lock them. I was looking for my dog and was saying that would not leave the place, that I prefer to die here.(48 years old female).*

*I did not want to leave. But all the villages were empty and the neighbors did not let me to stay, I was crying, bagging them to leave me, was in hysterics, rushed in and out. I wanted to collect my husband's and son's cloths and to find the documents, but was so agitated that could not manage to do anything (48 years old female).*

People are lamenting of not only loosing houses and animals, but also leaving gardens, water springs and landscapes.

*I am thinking all the time about our valley, our churches, nature, woods and water springs... In my dreams I am always there (28 years old male).*

Despite to the risk to the life many villagers were refusing to leave their houses and left only due to the insistence of other villagers.

Escape was difficult, more so for those having disabled or wounded family members.

*I filled my car with the women, the road was all bombed, all the neighborhood was under fire, the electricity poles were burning, on the road the bomb has been exploded, the big tree was uprooted and nearby the car was standing with dead people inside (50 years old male).*

Those who later managed to return to see what has happened to their village were shocked.

*I went to the village. Everything is burned, the houses are burned, all the wooden materials are taken, the roof timber and bricks are taken. The farm animals are taken, what else can I say? Everything is destroyed; there are neither gardens nor houses left. Everything people were building during all their lives is lost. I do not know how we are still sane. When I saw all these I was not crying, I was howling (43 years old male).*

Combat was described in 92.9 percent of narratives in the first and in 53.6 percent in the second round. Population of war affected region during the years of ethnic strife was exposed to shooting, shelling, saw wounded and dead, lost the loved ones.

*There has never been a calm life in Tamarasheni for the last 20 years. We always were expecting death, even when we went out in the yard there were shootings. (47 years old female).*

If population was accustomed to the combat, the bombing was a novel and the most frightening experience. Among those who experienced bombing 64.9 percent talked about it in the first and 35.1 percent in the second round. Bombing had a devastating effect, claiming the lives and injuring the population.

*The windows were cracking from shootings. We were sitting in the kitchen and my son said that he would go and have a look how many windows were broken. He made three steps and the bomb exploded. I saw him on the floor with sand and earth on him....I rushed and dragged him in and saw that all his back was open and bleeding, the bullet entered from one side and went out from the other side...I became confused, I did not know what to do, could not find water, bandage, spirit. I was just repeating "don't be afraid, don't be afraid"...the emergency took us to Kurta, where he was operated, they took bullet out from his back. The boy was in the ward, and with each bombing I was bagging the personnel to take him down, in a bunker. When bombings stopped we took him up, when resumed took him down, this was tormenting (60 years old female).*

## 4.2. Anxiety

Analyses of narratives by the Gottshalk-Glesser Anxiety Scale revealed high level of anxiety, mean of total scores of two rounds being 4.41 (SD 0.79). Total Anxiety score is the mean of the sums of the following six subscales constituting Anxiety Scale (Gottshalk-Gleser, 1969).

კვლევის მიზანს წარმოადგენს მორალურ ორიენტაციასა და პიროვნების მიმღებლობას შორის კავშირის დადგენა. ამასთან, იმის ჩვენება თუ რომელი ბაზისური ღირებულებები უდევს საფუძვლად მორალურ ორიენტაციასა ტიპებს და უკავშირდება თუ არა ის პიროვნების მიმღებლობის დონეს. კვლევაში ასევე ფსიქოლოგიური მოქნილობა აღწერილია, როგორც სავარაუდო მექანიზმი, რომელიც შესაძლოა ზემოაღნიშნულ ცვლადებს შორის კავშირის ბუნებაზე მოქმედებდეს. კვლევაში მონაწილეობას იღებდა სულ 370 ადამიანი. შედეგებმა აჩვენა, რომ მაღალი მორალური აბსოლუტიზმის მაჩვენებელი (სიტუაციონიზმი, აბსოლუტიზმი) თვითტრანსცენდენტულობისა და კონსერვაციის ღირებულებათა სისტემებთანაა დაკავშირებული, ხოლო მაღალი რელატივიზმის მაჩვენებელი – ცვლილებისადმი ღიაობასთან. ლოჯისტიკურმა რეგრესიამ აჩვენა, რომ მორალური ორიენტაციის ყველაზე ძლიერი პრედიქტორი კონსერვაციაა. ასევე, აღმოჩნდა, რომ ფსიქოლოგიური მოქნილობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბაზისურ ღირებულებებთან. მრავალმხრივი იერარქიული რეგრესიის შედეგად გამოვლინდა, რომ თვითტრანსცენდენტულობას და ცვლილებისადმი მზაობას ყველაზე ძლიერი პრედიქტორული ღირებულება აქვთ როგორც ფსიქოლოგიური მოქნილობის, ასევე უპირობო თვითმიღების წინასწარმეტყველებისას. მორალურ ორიენტაციასა და პიროვნების მიმღებლობას შორის არ დაფიქსირდა მნიშვნელოვანი კავშირი, თუმცა ღირებულებათა სისტემებისა და უპირობო თვითმიღების ნაწილობრივი მედიატორი ფსიქოლოგიური მოქნილობა აღმოჩნდა. კვლევას აქვს თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. მორალური ორიენტაციის საფუძვლებისა და მისი შედეგების დადგენა მორალის ახლებურ ხედვას და კვლევას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება პრაქტიკულ მნიშვნელობას, თითქმის ყველა თერაპიული პროცესი პიროვნების მიმღებლობის ზრდას უკავშირდება, შესაბამისად, აუცილებელია მის საფუძვლად მდებარე სტრუქტურების დადგენა და ამ პროცესში პიროვნების ღირებულებებისა და მორალური ორიენტაციის მნიშვნელობის გათვალისწინება.

**საკვანძო სიტყვები:** მორალური ორიენტაცია, ბაზისური ღირებულებები, ფსიქოლოგიური მოქნილობა, საკუთარი თავის უპირობო მიმღებლობა, სხვების მიმღებლობა

### შესავალი

დღეს, თითქმის ყველა სფერო აქტიურად განიხილავს რელატივიზმს, როგორც თანამედროვე საზოგადოების აუცილებელ, ყოველდღიურ ნაწილს. ერთი შეხედვით, ეს პროცესები ძალიან ცხადი და მარტივად აღმოსაჩენია (Habermas, 1984, 1987): რელიგიების მრავალფეროვნება, თანამედროვე კულტურის გავრცელება, სხვადასხვა

რა აყალიბებს მაღალ მიმღებლობას – მორალური ორიენტაციის წყარო და ფსიქოლოგიური...

პერსპექტივების, ღირებულებების, წარმოდგენების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღმოჩენა, რომ არსებობს განსხვავებული შეხედულებები, ღირებულებები და ა.შ.

ბუნებრივია, მიმდინარე ცვლილებები და ახლა უკვე გარდაუვალი, მრავალფეროვანი გარემო, არა მარტო ობიექტურ, ფაქტებზე დაფუძნებულ მოვლენებს ეხება, არამედ ღირებულებებსა და ეთიკურ მოსაზრებებს, რომელიც პიროვნების ინდივიდუალურ მორალურ იდეოლოგიაში ერთიანდება.

რელატივიზმი ხშირად არის დაკავშირებული იმ ნორმატიულ პოზიციასთან, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ უნდა ეპყრობოდეს ადამიანი მას, ვინც განსხვავებული მორალური ხედვის მატარებელია. მსგავსი ყველაზე გავრცელებული მოსაზრება ტოლერანტობას უკავშირდება (Harman, 1975). ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მაღალი ტოლერანტობის აუცილებლობა და საჭიროება აქტიურად განიხილება (Rai & Fiske, 2011; Wong, 2006). ტოლერანტობა არ გულისხმობს ინდეფერენტულობას ან ყველაფრის მიმღებლობას: ის გულისხმობს უნარს, არ შეენინა აღმდეგო და დაუპირისპირდე ადამიანებს, რომელთა ქცევაც იმ მორალურ მსჯელობებზეა დაფუძნებული, რომელთაც ჩვენ უარვყოფთ.

აქ ჩნდება კითხვა, შეუძლია თუ არა მორალურ რელატივიზმს თავისი წვლილის შეტანა ტოლერანტობის ჩამოყალიბებაში. საინტერესოა, არის თუ არა მორალური რელატივიზმი ამ გაგებით, არა მხოლოდ სხვების, არამედ საკუთარი თავის მიმართ ტოლერანტობის საფუძველი.

თუმცა, სანამ მიმღებლობაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია თვითონ მორალური ორიენტაციის ბუნებაზე საუბარი.

როდესაც მორალურ იდეოლოგიაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ მსჯელობათა ორიენტაციას, რომლის მიხედვითაც პიროვნება აფასებს და წყვეტს თუ რა არის/არ არის მისთვის კარგი, სწორი, მისაღები, მნიშვნელოვანი და სასურველი, სხვანაირად რომ ვთქვათ, ის აღწერს პიროვნების ღირებულებათა სისტემებს, რომელსაც Schwartz (1992; cf., Rokeach, 1973), განმარტავს, როგორც აბსტრაქტულ წარმოდგენებს სასურველი მიზნების შესახებ, რომლებიც წარმართავს იმას, თუ როგორ აფასებს პიროვნება მოვლენებს, ქმედებებს და სხვა ადამიანებს. კვლევის საწყის ეტაპზე შევეცდებით პასუხი გავცეთ კითხვას: ღირებულებათა რომელ სისტემებზე შენდება მორალური იდეოლოგიის ესა თუ ის ტიპი?

კვლევის შემდეგ საფეხურზე ვაჩვენებთ უკავშირდება თუ არა ღირებულებათა სისტემები და მორალური იდეოლოგია პიროვნების მიმღებლობის დონეს; კერძოდ, საკუთარი თავის და სხვების მიმღებლობას და ამასთან ერთად ვაკეთებთ დაშვებას, რომ არსებობს კოგნიტური სტრუქტურა, ფსიქოლოგიური მოქნილობის სახით, რომელსაც შესაძლოა მედიატორის ფუნქცია ჰქონდეს აღნიშნულ კავშირზე.

მაშასადამე, კვლევის მიზნებს იმის დადგენა წარმოადგენს, თუ როგორ უკავშირდება მორალური ორიენტაციის საფუძველი ბაზისურ ღირებულებათა სისტემებს და რომელი მორალური ორიენტაციის ტიპი განაპირობებს თუ რამდენად მიმღებელი იქნება პიროვნება როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართ. ასევე, შეიძლება თუ არა ფსიქოლოგიური მოქნილობა განვიხილოთ, როგორც ამ კავშირის მედიატორი პატერნი.

## მორალური ორიენტაცია

ზოგადად მიჩნეულია, რომ არსებობს ორი სახის რელატივიზმი: კოგნიტური და ეთიკური. კოგნიტური რელატივიზმი მოიაზრებს, რომ ფაქტები და სიმართლე სამყაროს შესახებ არ ასახავს მის რეალურ მდგომარეობას; ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ სამყარო ისე, როგორც არის რეალურად – არსებობს მისი ინტერპრეტაციები (Dawson-Tunik, Stein, 2004).

ეთიკური რელატივიზმი, თავის მხრივ, განიხილავს მორალის უნივერსალურობას და ამბობს, რომ არ არსებობს ისეთი მორალური პრინციპები, რომლის წინაშეც ყველა ადამიანს გააჩნია ვალდებულება. ის, თუ რა არის უპირობოდ „კარგი“ ან „სამართლიანი“, ვერ დადგინდება; არსებობს მორალურობის ინტერპრეტაციის სხვადასხვა გზა. ერთისთვის კარგია, ცუდია მეორესთვის და ნეიტრალური მესამესთვის (Harman, 1994)

ამავე პრინციპით შეიძლება განვიხილოთ მორალური ღირებულებები და ნორმები: ის, თუ რა არის მორალურად სწორი, კარგი ან სამართლიანი ყოველთვის შედარებითი და პირობითია იმ მორალური სტანდარტების ან კონკრეტული მორალური შეხედულების, საიდანაც ეს ქმედება განისჯება (Harman, 1994).

მორალური რელატივიზმის შინაარსი უკეთ გაიგება მაშინ, როდესაც მორალურ აბსოლუტიზმს ვახსენებთ. მორალური აბსოლუტიზმი ემყარება მოსაზრებას, რომ ის რაც სწორი ან არასწორია, უნივერსალური და მუდმივია. მორალს ურყევი ფუნდამენტი აქვს (იქნება ეს რაციონალური, ბუნებრივი თუ თეოლოგიური) და სწორედ ამიტომ ყველა უნდა დაემორჩილოს და მიჰყვეს ამ წესებს, განურჩევლად იმისა თუ ვინ, სად და როდის მოქმედებს.

მსგავსი კონსტრუქტი ემპირიულ კვლევებში ჯერ კიდევ 50-იან წლებში ჩნდება. Rokeach-მა (1954) დოგმატიზმი განმარტა, როგორც შედარებით ჩაკეტილი კოგნიტური სტრუქტურა ან რწმენები რეალობის შესახებ, რომლებიც ორგანიზებულია აბსოლუტური სიმართლის შესახებ რწმენების გარშემო, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს არატოლერანტობას ან შეზღუდულ ტოლერანტობას სხვების მიმართ (Rokeach, 1954a, p195).

მოგვიანებით ჩნდება დოგმატიზმისა და აბსოლუტიზმის შინაარსობრივად მსგავსი კიდევ ერთი კონსტრუქტი, Altemeyer-ის (1996) მიერ განმარტებული მორალური რწმენა (Skiitka, Bauman & Sargis, 2005), რომელიც გულისხმობს იმას თუ რამდენად დარწმუნებულია პიროვნება ერთი კონკრეტული საკითხის მორალურობაში და რამდენად მორალურადაა ის აღქმული.

Stikka, Bauman & Sargis-მა (2005) კვლევის შედეგად აჩვენეს, რომ მორალური რწმენის მაღალი მაჩვენებელი აისახებოდა: ა) დამოკიდებულებებით განსხვავებული ადამიანებისგან სოციალურ და ფიზიკურ დისტანციაში, არატოლერანტობაში როგორც პირად ისე სხვასთან ურთიერთობისას, ბ) ჰეტეროგენულ ჯგუფებთან დაბალ თანამშრომლობასთან და გ) უთანხმოების გადაჭრის დაბალ მაჩვენებელთან.

ნაცვლად იმისა, რომ ადამიანების კლასიფიკაცია მხოლოდ რელატივიზმის და აბსოლუტიზმის მიხედვით მოეხდინა, Forsyth (1980) გვთავაზობს ოთხგანზომილებიან კლასიფიკაციას: 1. ადამიანები, რომელთაც მაღალი რელატივიზმის და მაღალი აბსო-



რა აყალიბებს მაღალ მიმღებლობას – მორალური ორიენტაციის წყარო და ფსიქოლოგიური...

ლუტიზმის მაჩვენებელი აქვთ, ერთიანდებიან **სიტუაციონისტებში**; ისინი ფიქრობენ, რომ უნდა იღწვოდნენ საუკეთესო შედეგების მოსაპოვებლად, მაგრამ მორალური კანონები ვერ განივრცობა ყველა სიტუაციაზე; **2. აბსოლუტისტები**, ისევე როგორც სიტუაციონისტები, იდეალისტები არიან; ისინი ისეთ მოქმედებებს უჭერენ მხარს, რომელიც ბევრი დადებითი თუ სასურველი შედეგის გარანტი შესაძლოა იყოს, თუმცა სიტუაციონისტებისგან განსხვავებით, ისინი ფიქრობენ, რომ ეთიკური აბსოლუტები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სიტუაციის, საზოგადოების, ჯგუფების ან თუ ინდივიდების მიხედვით არ უნდა იცვლებოდეს; **3. სუბიექტივისტები** უარყოფენ მორალურ კანონებს (მაღალი რელატივიზმი) და არიან ნაკლებად იდეალისტები ჰუმანურ მიზნებთან დაკავშირებით. ეს იდეოლოგია მიეკუთვნება სუბიექტივიზმს, გამომდინარე იქიდან, რომ მათი მიმდევრები მორალურ გადაწყვეტილებებს აღწერენ, როგორც ინდივიდუალურ მსჯელობებს, რომლებსაც არ შეიძლება რაიმე „ობიექტური“ საფუძველი ჰქონდეს; **4. და ბოლოს, ექსეცციონისტები**, რომლებსაც ორივე მახასიათებელზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ; ისინი ფიქრობენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მორალური კანონები უნდა იყოს ქცევის მმართველი ძალა, არ არის აუცილებელი ისეთი ქცევების დაგმობა, რომლებიც უარყოფით შედეგებზე გადიან. აქედან გამომდინარე, ისინი გამონაკლის შემთხვევებს უშვებენ საკუთარ მორალურ პრინციპებში. ეს უკანასკნელი ორი ტიპის მორალური ჩარჩო იდეალიზმის დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს.

## ბაზისური ღირებულებები

რას ნიშნავს ღირებულება? იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად, ჩვენ ვაფასებთ და მივანერთ ღირებულებებს ყველაფერს იმის მიხედვით ცუდია ის თუ კარგი, ნამდვილია თუ სიცრუე, საიდან ვიგებთ ამას? ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი კონსტრუქტი ამისათვის, სწორედ ღირებულებებია. ისინი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც პრიორიტეტები, შინაგანი კომპასები ან პლატფორმა, სადაც მორალური იმპერატივები იწყებენ მოქმედებას. ამ კუთხით, ღირებულება ზოგადი სცენარია, რომლის მიხედვითაც პიროვნება წყვეტს, თუ რა არის მისთვის სასურველი და რა უნდა აირიდოს თავიდან.

ღირებულების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული განმარტება Rokeach-მა (1973) შემოგვთავაზა: სასურველის ექსპლიციტური ან იმლიციტური კონცეფცია, რომელიც ახასიათებს ინდივიდს ან ჯგუფს და განსაზღვრავს ადამიანის ქცევის ტიპს, მიზნებს და მათი მიღწევის საშუალებებს. ღირებულებას გააჩნია შესაბამისი ქცევის აღძვრისა და მისი რეგულირების ფუნქცია.

ღირებულებები გამოხატავს ადამიანის არჩევანს და მოქმედებებს (e.g., Higgins, 2006), ბაზისურ მოტივაციებს (e.g., Schwartz, 1992), სოციალური ინსტიტუციების ინტერნალიზაციას (e.g., Rokeach, 1973) და კულტურულად მნიშვნელოვანი სისტემების გაზიარებას (e.g., Geertz, 1973).

შვარცი (Schwartz 2012) თავის თეორიაში გამოყოფს ათ უნივერსალურ ადამიანურ ღირებულებას, რომლებიც დაფუძნებულია ადამიანის სამ ძირითად მოთხოვნილებაზე – ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების მოთხოვნილებაზე, სოციალური

ინტერაქციის კოორდინაციის მოთხოვნაზე და ადამიანთა ჯგუფების თვით გადარჩენისა და კეთილდღეობის მოთხოვნილებაზე. ამ თეორიის მიხედვით, შვარცი ღირებულებებს ალაგებს ორ ურთიერთსაინანაალმდეგო განზომილებაზე: **ცვლილებებისადმი ღიაობა კონსერვაციის წინააღმდეგ** და **თვითგაძლიერება თვითტრანსცენდენტურობის წინააღმდეგ** (Schwartz, 2012).

## მიმღებლობა და ღირებულებები

მიმღებლობის ცნების განმარტვისას (Brown, 1993) შემდეგ საკითხებს ითვალისწინებენ: 1) სტიმული აღიქმება, როგორც სასურველი და მისაღები გამოცდილება, რომელიც შესაძლოა რაიმე მოთხოვნის ან ვალდებულების დაკმაყოფილების საშუალება იყოს; 2) მოვლენის სასურველად ხედვა; 3) თანხმობისადმი მზაობა.

მიმღებლობა მოითხოვს, პიროვნების ტოლერანტობას მოცემული გამოცდილებისადმი; იმისათვის, რომ პიროვნებამ გააცნობიეროს მიმდინარე მდგომარეობა, აუცილებელია არსებულ რეალობასთან კონტაქტის დამყარება და თავიდან ამრიდებლური ქცევის შემცირება, შესაბამისად, ტოლერანტობა შეიძლება გავიგოთ, როგორც მიმდინარე გამოცდილებაში ჩართულობა, როგორც არ უნდა იყოს ეს გამოცდილება (Williams C. & JayLynn S, 2010).

გამომდინარე იქიდან, რომ მიმღებლობა საკმაოდ ფართო ცნებაა, კვლევის მიზნიდან გამომდინარე გამოვყოფთ საკუთარი თავის და სხვა ადამიანების მიმღებლობას.

საკუთარი თავის უპირობო მიღება გულისხმობს, რომ პიროვნება მთლიანად და უპირობოდ იღებს საკუთარ თავს, მიუხედავად იმისა მოქმედებს თუ არა ის ჭკვიანურად, სწორად ან კომპეტენტურად და მიუხედავად იმისა იღებენ, პატივს სცემენ და უყვართ თუ არა ის ადამიანებს (Ellis, 1997), ხოლო სხვების მიმღებლობაში მოიაზრება დადებითი ზოგადი შეხედულება ადამიანებზე, გარშემომყოფების მოსაზრებების და ქცევების მიმართ ტოლერანტობა და მიმღებლობა (Fey, 1955).

ერთ-ერთი კვლევის მონაცემები მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ კონსერვაციისა და თვითგაძლიერების ღირებულებები კავშირშია პიროვნული შფოთვის უფრო მაღალ დონესთან ვიდრე ცვლილებისადმი ღიაობის და თვითტრანსცენდენტურობის ღირებულებები, რომლებიც, თავის მხრივ, კომფორტულ მდგომარეობაზე აისახება (Schwartz, 2010).

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი, რომელიც ერთ-ერთ კვლევაშია განხილული არის ის, თუ რა ემოციებს იწვევს მორალური ორიენტაციის ამა თუ იმ ტიპის ადამიანში მათ მიერ განხორციელებული ქცევა. ნაჩვენებია, რომ აბსოლუტისტი ტიპების შემთხვევაში უფრო მაღალია თვითდადანაშაულება და თვითდამცირება ნორმის დარღვევისას და მათი ნორმების დამორჩილებისადმი დაჟინებული მიდრეკილება, ეს სხვების დახმარებისგან გამონეწეულ ნებისმიერ პოზიტიურ ემოციას ფარავს (Forthys, R 1990).

## ცვლილებისადმი მზაობა, ფსიქოლოგიური მოქნილობა და მორალური ორიენტაცია

ფსიქოლოგიური მოქნილობა შეიძლება მოიცავდეს თუ 1. როგორ ადაპტირდება პიროვნება ცვალებად გარემოში; 2. როგორ ახდენს ის ფსიქიკური რესურსების გადა-

რა აყალიბებს მაღალ მიმღებლობას – მორალური ორიენტაციის წყარო და ფსიქოლოგიური...

ნანილებას; 3. როგორ ცვლის პერსპექტივებს და 4. როგორ აბალანსებს ურთიერთსა-  
ნინაალმდეგო სურვილებს, მოთხოვნილებებს და ცხოვრების სფეროებს (Kashdan & Rot-  
tenberg, 2010).

ფსიქოლოგიური მოქნილობისათვის ინდივიდი ღია უნდა იყოს იმ გამოცდილე-  
ბებისადმი, რასაც მას შინაგანი თუ გარეგანი სტიმულები სთავაზობს. ის ღიაა იმ პო-  
ზიტიური და ნეგატიური განცდებისთვის, რომლებიც ახალი, კომპლექსური, ორაზრო-  
ვანი და არაპროგნოზირებადი გამოწვევისას ჩნდება (Kashdan & Silvia, 2009).

პიროვნული მახასიათებლებიდან მხოლოდ გამოცდილებისადმი ღიაობა იყო და-  
კავშირებული კრეატიულობასთან და დივერგენტულ აზროვნებასთან სტრესულ სიტუ-  
აციაში (Chamorro-Premuzic & Reichenbacher, 2008). მკვლევარებმა ასევე ანახეს, რომ  
სტრესულ სიტუაციაში გამოცდილებისადმი ღიაობის მაღალი მაჩვენებელი მაღალ  
ტოლერანტობას და თანაგრძნობასთან იყო დაკავშირებული (O'Brien & DeLongis, 1996).

ღიაობის მნიშვნელობა ფსიქოლოგიური მოქნილობისას კარგად ჩანს სიცხადის  
მოთხოვნილებისა და უზუსტობისადმი არატოლერანტობის კვლევებშიც (Kruglans-  
ki & Webster, 1996; Sorrentino & Roney, 2000). მაღალი სიცხადის მოთხოვნილება ან  
ადამიანებთან და სიტუაციასთან დაკავშირებით სიზუსტის განცდა ზრდის სტერე-  
ოტიპულობას, კონფორმულობას და დოგმატიზმს. როგორც მოსალოდნელია, რიგიდუ-  
ლობა ხშირად იქ იჩენს თავს, სადაც ინფორმაციის ნაკლებობაა.

ლოგიკურია თუ ვივარაუდებთ, რომ მორალური ორიენტაციის კონტინუუმზე რე-  
ლატივისტ ტიპებს ფსიქოლოგიური მოქნილობის უფრო მაღალი მაჩვენებელი ექნებათ.  
საბოლოო ჯამში, ჰიპოთეზა იქნება შემდეგი: ამა თუ იმ მორალური ორიენტაციის  
საფუძველი ღირებულებათა სისტემის გარკვეულ წყობაშია, რომელიც ფსიქოლოგიური  
მოქნილობის მაჩვენებელს უკავშირდება და განაპირობებს იმას, თუ რამდენად მიმღე-  
ბელი იქნება პიროვნება როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართ.

კვლევის ჰიპოთეზებია:

$H_1$  = სიტუაციონიზმი (მაღალი რელატივიზმი) დადებით კავშირშია გამოცდილებისადმი  
მზაობის და თვითტრანსცენდენტულობის ღირებულებებთან;

$H_2$  = აბსოლუტიზმი დადებით კავშირშია თვითტრანსცენდენტულობის და კონსერვაციის  
ღირებულებებთან;

$H_3$  = სუბიექტივიზმი დადებით კავშირშია გამოცდილებისადმი ღიაობასთან და თვით-  
გაძლიერებასთან, ხოლო უარყოფითი – თვითტრანსცენდენტულობისა და კონ-  
სერვაციის ღირებულებებთან;

$H_4$  = ექსეფციონიზმი უარყოფით კავშირშია ცვლილებისადმი მზაობასა და კონსერვა-  
ციასთან;

$H_5$  = მორალური რელატივიზმი (სუბიექტივიზმი და სიტუაციონიზმი) დადებით კავშირ-  
შია უპირობო თვითმილებასთან და სხვების მიმღებლობასთან;

$H_6$  მორალური აბსოლუტიზმი (აბსოლუტიზმი, ექსეფციონიზმი) უარყოფით კავშირშია  
უპირობო თვითმილებასა და სხვების მიმღებლობასთან;

$H_7$  = ფსიქოლოგიურ მოქნილობას მედიაციური როლი აქვს პიროვნების ღირებულე-  
ბებს, მორალურ ორიენტაციას და მიმღებლობას შორის კავშირზე.

## მეთოდი

### კვლევაში მონაწილე პირები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 370-მა ადამიანმა, აქედან 102-მა კაცმა და 268 ქალმა. კვლევის სუბიექტების ასაკი მერყეობდა 18 წლიდან შეუზღუდავად. კატეგორიები იყოფა შემდეგნაირად: 1. 18-25 წლამდე (43%) 2. 26-35 წლამდე (26%) 3. 36-45 წლამდე (12%) 4. 46-55 წლამდე (11%) 5. 56 წლიდან (7%).

### ინსტრუმენტი

**ბაზისური ღირებულებები:** ბაზისური ღირებულებების საკვლევად გამოვიყენეთ შვარცის ღირებულებების სკალის შესწორებული ვერსია (Schwarz et al., 2012). კითხვარში გამოყოფილია 19 ღირებულება, საიდანაც თითოეულს 3 დებულება ზომავს, ჯამში 57 დებულება. წინა ვერსიების მსგავსად, თითოეული დებულება აღწერს სხვა ადამიანს, რესპოდენტს ეძლევა ინსტრუქცია 6-ბალიან სკალაზე უპასუხოს, თუ რამდენად ჰგავს მას ეს ადამიანი, სადაც 1 ნიშნავს „საერთოდ არ მგავს“, ხოლო 6 – „ძალიან მგავს“.

**მორალური ორიენტაცია:** ეთიკური პოზიციონირების კითხვარი. მორალური ორიენტაციის საზომად გამოვიყენეთ Schlenker and Forsyth-ის (1977) მიერ შექმნილი და შესწორებული ვარიანტი. ფაქტორული ანალიზისა და ტრადიციული სკალირების მეთოდით, შესწორებული ეთიკური პოზიციონირების კითხვარი შედგება ორი ათდებულებიანი სკალისგან, რომლებიც იდეალიზმსა (სანდოობა,  $\alpha = .73$ .) და რელატივიზმს ( $\alpha = .74$ ) ზომავს. რესპონდენტები თანხმობის ხარისხს თითოეულ დებულებაზე მიუთითებენ ლიკერტის 5-ბალიან სკალაზე სადაც 1 ნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო 5 – „სრულიად ვეთანხმები“.

**ფსიქოლოგიური მოქნილობა:** ფსიქოლოგიური მოქნილობის საზომად გამოვიყენეთ 20-დებულებიანი კითხვარი (Ben-Itzhak S, Bluvstein I, 2014), რომლის თითოეული დებულება მიმართულია იმის გასაზომად, თუ რამდენად ღია, ადაპტური და მოქნილია პიროვნება გარემოში და რამდენად ითვისებს მის შიდა და გარე სტიმულებს ერთდროულად. რესპონდენტი თითოეულ დებულებას აფასებს 6-ბალიან სკალაზე. კითხვარის სანდოობა მისაღებია ( $\alpha = .88$ ).

**უპირობო თვითმიღება:** უპირობო თვითმიღების კითხვარი (USAQ; Chamberlain & Haaga, 2001a) შედგება 20 დებულებისგან, საიდანაც თითოეული ზომავს რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტული კრიტერიუმების შესრულება საკუთარი თავის მიღებისას. რესპონდენტებს ეძლევათ ინსტრუქცია 7-ბალიან სკალაზე, მიუთითონ თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს თითოეული დებულება მათ შემთხვევაში. კითხვარის სანდოობა . . . . ( $\alpha = .63$ ).

**სხვების მიმღებლობა:** სხვების მიმღებლობის საზომად კვლევაში გამოვიყენეთ Fey-ს (1955) მიერ შექმნილი კითხვარი, რომლის ვალიდურობა და სანდოობა მოგვიანებითაც გადამოწმდა. ჩვენს შემთხვევაშიც სანდოობის მაჩვენებელი მისაღებია ( $\alpha = .7$ ). კითხვარი შედგება 20 დებულებისგან. თითოეული მათგანი აღწერს გარემომყოფ ადამიანებს, რესპონდენტებს კი ეძლევათ ინსტრუქცია 5-ბალიან

რა აყალიბებს მაღალ მიმღებლობას – მორალური ორიენტაციის წყარო და ფსიქოლოგიური...

## სკალაზე მიუთითონ მათი აზრით, რამდენად შეესაბამება სიმართლეს თითოეული დებულება.

### პროცედურა

თითოეულ რესპონდენტს ურიგდებოდა აღნიშნული ხუთივე კითხვარი ერთი და იმავე თანმიმდევრობით (1. ბაზისური ღირებულებები, 2. მორალური ორიენტაცია, 3. ფსიქოლოგიური მოქნილობა, 4. საკუთარი თავის მიმღებლობა, 5. სხვების მიმღებლობა) ინსტრუქციით თითოეულ მათგანზე.

რესპონდენტი დამოუკიდებლად ასრულებდა დავალებას დროის შეზღუდვის გარეშე. მონაცემები დამუშავდა SPSS Statistics V21-ის გამოყენებით.

სტრუქტურული გათანაბრების მოდელი შეიქმნა SPSS Amos18-ის საშუალებით.

### შედეგები

*მორალური ორიენტაციის ტიპები და ბაზისური ღირებულებების სისტემები ცალმხრივი დისპერსიული ანალიზი*

ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა (ANOVA) აჩვენა, რომ ცვლილებისადმი მზაობის მაჩვენებელში  $F(3, 361)=5.61, p=.001$ , სიტუაციონისტების და სუბიექტივისტების საშუალო მაჩვენებელი ( $M=19.2, SD=2.7$ ;  $M=19.7, SD=2.5$ , შესაბამისად) მნიშვნელოვნად მაღალი იყო ექსეფციონისტებთან შედარებით ( $M=18.1, SD=2.5$ ).

ჯგუფებს შორის სხვაობა, მნიშვნელოვანი იყო კონსერვაციის ღირებულებათა სისტემის მიხედვითაც  $F(3, 361)=15.3, p=.000$ , სიტუაციონისტების და აბსოლუტისტების საშუალო მაჩვენებელი ( $M=24.3, SD=3.5$ ;  $M=24.1, SD=2.8$ , შესაბამისად) მნიშვნელოვნად მაღალი აღმოჩნდა როგორც სუბიექტივისტების ( $M=21.2, SD=3.6$ ), ისე ექსეფციონისტების მაჩვენებელზე ( $M=22.4, SD=3.2$ ).

### ლოჯისტიკუ რი რეგრესია

ლოჯისტიკური რეგრესული ანალიზიდან ჩანს (გრაფა 1), რომ სიტუაციონიზმთან დაკავშირებული ღირებულებათა სისტემებიდან, დამოუკიდებლად მხოლოდ კონსერვაციას აქვს პრედიქტორული ღირებულება (Wald's  $\chi^2(1)= 5.986, p<0.05$ ), კონსერვაციას (Wald's  $\chi^2(1)= 6.681, p\leq 0.01$  პრედიქტორული ღირებულება აქვს ასევე აბსოლუტიზმის ( $e^{\beta}=1.136, SE\beta=.045$ ) და სუბიექტივიზმის (Wald's  $\chi^2(1)= 16.563, p\leq 0.001$ ) ( $e^{\beta}=.803, SE\beta=.054$ ) შემთხვევებშიც.

თვითგაძლიერების მაღალი მაჩვენებლის მქონე ადამიანები, ნაკლები ალბათობით იქნებიან აბსოლუტისტი ტიპები ( $e^{\beta}=.888, SE\beta=.045$ ).

პრედიქტორული ძალა აქვს აგრეთვე, ცვლილებისადმი ღიაობასაც ( $e^{\beta}=1.18, SE\beta=.073$ ), რომელიც 18% ალბათობით წინასწარმეტყველებს სუბიექტივიზმს.

### ღირებულებები და დამოკიდებული ცვლადები

*მრავალმხრივი იერარქიული რეგრესია*

აღმოჩნდა, რომ პირველ საფეხურზე, თვითგაძლიერებისა და კონსერვაციის ღირებულებები ვარიანბლობის 10% ხსნის ( $R^2 = .097, F(2, 362)= 19.4, p\leq 0.001$ ), რაც შეეხება

თითოეული ცვლადის ცალკეულ ღირებულებას, ფსიქოლოგიური მოქნილობის საერთო ქულაში კონსერვაციის წონა ყველაზე მეტი იყო ( $\beta=.281, p\leq 0.01$ ) (გრაფა 2-ზე).

მეორე საფეხურზე, თვითტრანსცენდენტურობისა და ცვლილებისადმი ღიაობის დამატების შემდეგ, მოდელი შედეგის დამატებით კიდევ 24%-ით ვარიაბელობას ხსნის და ეს ცვლილება სტატისტიკურად სანდოა ( $R^2 = .339, F(4, 362) = 46.21, p\leq 0.001$ ), რაც შეეხება თითოეული ცვლადის პრედიქტორულ ღირებულებას, აღმოჩნდა, რომ ცვლილებისადმი ღიაობის ღირებულება მოდელში ყველაზე მაღალია ( $\beta=.457, p\leq 0.001$ ), შედარებით ნაკლები, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორული ღირებულება აქვს, აგრეთვე, თვითტრანსცენდენტურობას ( $\beta=.197, p\leq 0.001$ ).

### **მორალური ორიენტაციის ტიპები და დამოკიდებული ცვლადები**

#### *წრფივი რეგრესია*

ანალიზიდან ჩანს, რომ სიტუაციონიზმის ცვლადი ხსნის მონაცემთა ვარიაბელობის 4%-ს ( $R^2=0.04, F(1, 363) = 14.91$ ) და აქვს პრედიქტორული ღირებულება ცვლადის ფსიქოლოგიური მოქნილობის მაჩვენებლისთვის ( $\beta=.20, p\leq 0.001$ ).

ფსიქოლოგიური მოქნილობის საერთო ქულაში ვარიაბელობის 9%-ს ხსნის ექსტრემიზმის ცვლადი ( $R^2=0.09, F(1, 363) = 33.52$ ) და ასევე მასაც აქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორული ღირებულება შედეგის წინასწარმეტყველებისას ( $\beta=-.30, p\leq 0.001$ ).

#### **მედიაცია**

იმის დასადგენად, აქვს თუ არა ფსიქოლოგიურ მოქნილობას მედიაციური ძალა ბაზისურ ღირებულებებს, მორალურ ორიენტაციასა და მიმღებლობას შორის, გამოვიყენეთ სტრუქტურული გათანაბრების მოდელი (Structural Equation Model), AMOS 18-ის საშუალებით.

მოდელმა დააკმაყოფილა აუცილებელი პირობები:  $\chi^2 = .946, p = .331$ ; CFI= 1.00; RMSEA= .000; SRMR= .003; TLI=1.00; AIC= 86.95; ECVI= .024.

მედიაციური ეფექტის დასადგენად გამოვიყენეთ თვითრეგულირების (bootstrapping method) მეთოდი, 95% სანდოობის ინტერვალზე. მედიაციურ ეფექტის შემოწმება მოხდა კავშირზე ირიბი ეფექტის გაზომვის შედეგად (გრაფა 3).

აღმოჩნდა, რომ ღირებულებათა სისტემებსა და უპირობო თვითმიღების კავშირის ბუნებაზე ფსიქოლოგიური მოქნილობის ცვლადის ჩართვა გარკვეულ ეფექტს ახდენს. ორ ცვლადს შორის ფსიქოლოგიური მოქნილობის დამატება, მათ პირდაპირ კავშირს ასუსტებს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მას მედიაციური ეფექტი ნამდვილად აქვს, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ორივე საფეხურზე კავშირი სტატისტიკურად მაინც სანდოა, მედიაცია მხოლოდ ნაწილობრივია.

#### **ასაკობრივი ჯგუფების შედარება**

ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით განსხვავდება მორალური ორიენტაციის სამი ჯგუფი. აბსოლუტიზმის შემთხვევაში ( $F(4, 360)=5.86, p=.000$ ) 56 წლიდან ადამიანების მაჩვენებელი ( $M=.54, SD=.51$ ) აღემატებოდა 18-25 და 26-35 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ადამიანების მაჩვენებელს ( $M=.17, SD=.38$ ;  $M=.18, SD=.39$ ).

რა აყალიბებს მაღალ მიმღებლობას – მორალური ორიენტაციის წყარო და ფსიქოლოგიური...

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა იყო აგრეთვე სუბიექტივიზმის ( $F(4, 360)=5.12, p=0.01$ ) და ექსეფციონიზმის ( $F(4, 360)=2.44, p=.047$ ) ჯგუფების შემთხვევაშიც. პირველ შემთხვევაში 18-25 წლამდე ადამიანების საშუალო რაოდენობა ( $M=.24, SD=.43$ ) აღემატება ასაკობრივი კატეგორიის 36-45 და 46-55 წლამდე ჯგუფებში შემავალ ადამიანთა რაოდენობას ( $M=.04, SD=.21$ ;  $M=.05, SD=.22$ ).

რაც შეეხება ღირებულებათა სისტემებს შორის სხვაობას, აქ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება, მხოლოდ ცვლილებისადმი მზაობის ( $F(4, 360)=4.38, p=.002$ ) და კონსერვაციის ( $F(4, 360)=7.09, p=.000$ ) მიხედვით დაფიქსირდა. პირველ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ 18-25 წლამდე ადამიანების საშუალო მაჩვენებელი ( $M=19.4, SD=2.5$ ) მნიშვნელოვნად აღემატება 46-55 წლამდე ადამიანების საშუალო მაჩვენებელს ( $M=17.8, SD=3$ ), ხოლო კონსერვაციის შემთხვევაში, ასაკობრივი კატეგორიის პირველ ჯგუფს ყველა დანარჩენთან შედარებით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ ( $M=22.2, SD=3$ ).

ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა ასევე ანახა ასაკობრივ კატეგორიებს შორის სხვაობა ფსიქოლოგიური მოქნილობისა ( $F(4, 360)=2.98, p=.019$ ) და საკუთარი თავის მიმღებლობის ( $F(4, 360)=3.94, p=.004$ ) მიხედვით. ორივე შემთხვევაში 18-25 წლამდე ადამიანების საშუალო მაჩვენებელი ( $M_{ფსიქ}=4.65, SD=.6$ ;  $M_{მიმღ}=3.89, SD=.65$ ) ჩამოუვარდებოდა 56 წლიდან ადამიანების საშუალო მაჩვენებელს ( $M_{ფსიქ}=5.08, SD=.54$ ;  $M_{მიმღ}=4.32, SD=.74$ ).

### სქესთა შორის განსხვავებები

როგორც აღმოჩნდა, მორალური ორიენტაციის სიტუაციონიზმის კატეგორიაში ( $t(365)=-3.9, p=.000$ ) ქალების რაოდენობა ( $M=.35, SD=.48$ ) აღემატება კაცების რაოდენობას ( $M=.16, SD=.37$ ).

ექსეფციონიზმის შემთხვევაში კი პირიქით ( $t(365)=2.6, p=.033$ ), საშუალოდ კაცების რაოდენობა ( $M=.38, SD=.49$ ) ქალების რაოდენობაზე მეტია ( $M=.26, SD=.44$ ) განსხვავებები აგრეთვე დაფიქსირდა ღირებულებათა სისტემების მიხედვითაც. კერძოდ, თვითტრანსცენდენტულობის მაჩვენებელი ( $t(365)=-3.22, p=.002$ ), საშუალოდ ქალებში ( $M=25.6, SD=2.7$ ) უფრო მაღალია, ვიდრე კაცებში ( $M=24.2, SD=2.96$ ), ხოლო თვითგაძლიერების საშუალო მაჩვენებლით ( $t(365)=2.18, p=.030$ ), კაცები ( $M=10.8, SD=2.96$ ) უსწრებენ ქალებს ( $M=10.1, SD=2.87$ ).

რაც შეეხება დამოუკიდებელ ცვლადებს, სქესთა შორის სტატისტიკური განსხვავება, მხოლოდ საკუთარი თავის მიმღებლობის მაჩვენებლის მიხედვით დაფიქსირდა ( $t(365)=1.81, p=.050$ ), სადაც კაცების საშუალო მაჩვენებელი ( $M=4.1, SD=0.56$ ) აღემატებოდა ქალებისას ( $M=3.9, SD=0.65$ ).

### შედეგების განხილვა

*ბაზისური ღირებულებათა სისტემებისა და მორალური ორიენტაციის კავშირი*

მიღებული შედეგებიდან აღმოჩნდა, რომ მორალურ ორიენტაციასა და ბაზისურ ღირებულებათა სისტემებს გარკვეული ლოგიკური კავშირი აქვთ ერთმანეთთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს კავშირები საკმაოდ სუსტია იმისთვის, რომ რაიმე ზოგადი დასკვნები გავაკეთოთ, ის მაინც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, ამიტომ მონაცემები ზოგადი სტრუქტურის აღწერის საშუალებას იძლევა.

როგორც ვივარაუდებთ, ბაზისურ ღირებულებათა სისტემებიდან სიტუაციონიზმი თვითტრანსცენდენტულობას და გამოცდილებისადმი მზაობას უკავშირდება, თუმცა ამ უკანასკნელთან კავშირი ძალზე სუსტია. ამას გარდა აღმოჩნდა, რომ სიტუაციონიზმი ასევე კავშირშია კონსერვაციის ღირებულებათა სისტემასთან. ეს მოდელი საკმაოდ ლოგიკური შეიძლება იყოს, რადგან კონსერვაცია გულისხმობს ნორმების, წესების დაცვას და მიღებული სტანდარტების შენახვას და განხორციელებას. მისი კავშირი სიტუაციონიზმთან არ არის გაუმართლებელი, რადგან სიტუაციონისტებიც, აბსოლუტიზმის სკალაზე მაღალი მაჩვენებლიდან გამომდინარე, ცდილობენ მაქსიმალურად დაიცვან და მიჰყვნენ აღიარებულ მორალურ აბსოლუტებს და იღწვიან ამ უნივერსალური ღირებულებების დასაცავად (Forsyth, 1980), თუმცა აქ მთავარი ის არის, რომ მათ აქვთ უნარი გაითვალისწინონ კონტექსტი და საჭიროებისამებრ განახორციელონ ქცევა, თუნდაც ეს ხანდახან ამ აბსოლუტებიდან გადახვევას გულისხმობდეს, ამაზე კი შესაძლოა, მისი ცვლილებისადმი მზაობასთან კავშირი მეტყველებდეს.

ასევე გამართლდა ვარაუდი, რომ აბსოლუტიზმი თვითტრანსცენდენტურობასა და კონსერვაციას უკავშირდება, უფრო მეტიც, მისი კავშირი თვითგაძლიერებასთან უარყოფითია. ეს შედეგი სრულიად მოსალოდნელი იყო, გამომდინარე აბსოლუტიზმის ბუნებიდან, რადგან მათთვის უნივერსალური მორალური სტანდარტები კითხვის ნიშნის გარეშე არსებობს, ისინი აღიარებენ თვითტრანსცენდენტულობის ღირებულებათა სისტემაში ნაგულისხმევ მოსაზრებებს, თუმცა ამასთან ერთად მკაცრად მიმართულნი არიან ამ ნორმებისა და ფიქსირებული შეხედულებების შესრულებისა და გაზიარებისკენ (Forsyth, 1980), ამას ემატება ისიც, რომ თვითგაძლიერების მაჩვენებელი დაბალი აქვთ, რაც ბუნებრივია, თუ მათი უნივერსალურ სტანდარტების გავითვალისწინებთ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი პიროვნული ინტერესების უგულვებლყოფას ქადაგებენ.

აქ კარგად შეიძლება სიტუაციონიზმსა და აბსოლუტიზმს შორის არსებული განსხვავებების ღირებულების საფუძველზე განხილვა. ერთ შემთხვევაში (სიტუაციონიზმი) გვაქვს მასთან დაკავშირებული კონსერვაციის, თვითტრანსცენდენტულობის და ცვლილებისადმი მზაობის ღირებულება, ხოლო მეორე შემთხვევაში, განმასხვავებელი ნიშანი ცვლილებისადმი მზაობის არარსებობაა. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ რელატივიზმი თავისი არსით ღიაობას მოიაზრებს.

კვლევის ფარგლებში მოკლედ შევეხეთ სუბიექტივიზმსა და ექსეფციონიზმს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს რომ მათ მიმართ ინტერესიც შესაბამისია. დაშვებული იყო, რომ სუბიექტივისტებს, მათი აბსოლუტიზმის სკალაზე დაბალი მაჩვენებლის გამო, ასევე დაბალი კონსერვაცია და თვითტრანსცენდენტურობა ექნებოდათ, ხოლო ცვლილებისადმი ღიაობა – რელატივიზმის მაღალი მაჩვენებლიდან გამომდინარე – მაღალი. მიღებულმა შედეგებმა ეს ვარაუდი გაამართლა, თუმცა თვითგაძლიერებასთან მისი კავშირი სტატისტიკურად უმნიშვნელო აღმოჩნდა, რაც ერთი შეხედვით უცნაურია, გამომდინარე იქიდან, რომ სუბიექტივისტი ტიპები ინდივიდუალურ გადანყვეტილებებს ანიჭებენ უპირატესობას და პირადი ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ. თუმცა შესაძლოა ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინება სულაც არ ნიშნავდეს ძალაუფლებისა და მიღწევისაკენ ლტოლვას, რაც თვითგაძლიერებაში მოიაზრება.

დაბოლოს, ექსეფციონიზმი, რომელიც როგორც აბსოლუტიზმის, ისევე რელატივიზმის დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება, ღირებულებათა სამ განზომილებას უკავ-



რა აყალიბებს მაღალ მიმღებლობას – მორალური ორიენტაციის წყარო და ფსიქოლოგიური...

შირდება. მისი კონსერვაციასთან უარყოფითი კავშირი არ იყო მოულოდნელი, ზოგადად ეს ჯგუფი, გამორჩეულია დანარჩენისგან მისი განსაკუთრებული შინაარსიდან გამომდინარე და ეს შედეგებზეც აისახა, რადგან ბაზისურ ღირებულებათა ოთხი სისტემიდან სამთან (თვითტრანსცენდენტურობასთან, ღიაობასთან და კონსერვაციასთან) უარყოფითი კავშირი აქვს. ეს ადამიანები მიუხედავად იმისა, რომ აღიარებენ უნივერსალური მოსაზრებების არსებობას, არ ეწინააღმდეგებიან მათ დარღვევას შედეგის მიღების მიზნით. კვლევებში ნაჩვენებია, რომ ეს ჯგუფი ფსიქოპათიას უკავშირდება (Gao Y., Tang S., 2013).

ღირებულებების მნიშვნელობა რელატივიზმისა და აბსოლუტიზმისთვის კიდევ უფრო კარგად ჩანს, ჯგუფების შედარებისას. მორალური ორიენტაციის იმ ჯგუფებს, რომელთაც რელატივიზმის სკალაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ (სიტუაციონიზმი, სუბიექტივიზმი) ცვლილებისადმი ღიაობის ღირებულება მნიშვნელოვნად უფრო მაღალი აქვთ ვიდრე ექსეფციონისტებს, ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ რელატივიზმი თავისი ბუნებით გახსნილი სტრუქტურაა და მისი საფუძველი სწორედ ამ ღირებულებებშია.

ლოგიკური და მოსალოდნელი განსხვავება მივიღეთ თვითტრანსცენდენტურობის და კონსერვაციის შემთხვევაშიც, აქ აბსოლუტიზმის სკალაზე მაღალი მაჩვენებლის ჯგუფები (სიტუაციონიზმი, აბსოლუტიზმი) მნიშვნელოვნად აღემატებიან დანარჩენ ორ ჯგუფს, რომელთაც აბსოლუტიზმის მაჩვენებელი დაბალი აქვთ. ესეც, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ მორალური აბსოლუტიზმი თვითტრანსცენდენტურობის და კონსერვაციის ღირებულებასთანაა დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სხვა ღირებულებებთან კომბინაციაში ის სხვადასხვა მორალურ ტიპს დაუკავშირდეს.

ლოჯისტიკური რეგრესიის საშუალებით გამოჩნდა, რომ მიუხედავად უკვე აღწერილი მოდელების მორგებისა, ინდივიდუალური პრედიქტორული ძალა არ აქვს მოდელში შემავალ ყველა ღირებულებას. მაგალითად, სიტუაციონიზმის შემთხვევაში მხოლოდ კონსერვაციის ღირებულებას აქვს მნიშვნელოვანი პრედიქტორული ძალა, ხოლო აბსოლუტიზმის შემთხვევაში – კონსერვაციასა და თვითგაძლიერების მაჩვენებელს. საინტერესოა, რომ დაბალი კონსერვაციის მაჩვენებელი სუბიექტივიზმის შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი პრედიქტორი იყო. ეს კიდევ ერთხელ ამყარებს მოსაზრებას, რომ კონსერვაციის ღირებულებათა სისტემა მორალური აბსოლუტიზმის ჩამოყალიბებაში იღებს მონაწილეობას.

*ბაზისური ღირებულებათა სისტემების, ფსიქოლოგიური მოქნილობის და მიმღებლობის კავშირი*

გადავიდეთ ღირებულებებისა და ჩვენი დამოკიდებული ცვლადების კავშირებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ შემთხვევაში შედეგებიდან გამომდინარე უნდა ითქვას, არის ფსიქოლოგიურ მოქნილობასთან მათი კავშირი. აღმოჩნდა, რომ ოთხივე ღირებულებათა სისტემას დამოუკიდებლად, ფსიქოლოგიურ მოქნილობასთან დადებითი კავშირი აქვს. გარკვეულწილად, ამ შედეგების ლოგიკური ახსნა იქნებოდა ის, რომ დამოუკიდებლად არცერთი ღირებულებათა სისტემა არ არის არაადაპტური ან ხელისშემშლელი პიროვნებისთვის. ღირებულებების განხილვისას, ჩვენ თავიდანვე

ვახსენეთ, რომ მათ გარკვეული სტრუქტურა აქვთ და მნიშვნელობის მიხედვით არიან განლაგებულნი (Schwarz, 2010), შესაბამისად, არ არსებობს დამოუკიდებლად მოქმედი ღირებულება, თუ არ გავითვალისწინებთ სხვების მოქმედებასთან მიმართებაში, თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიურ მოქნილობას გაცილებით ძლიერი კავშირი თვითტრანსცენდენტურობასთან და ცვლილებისადმი ღიაობას ჰქონდა.

რაც შეეხება მიმღებლობის საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ კავშირები საკმაოდ სუსტია, ისინი მაინც სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა. როგორც ნავარაუდევია იყო, უპირობო თვითმიღებას დადებითი კავშირი აქვს თვითტრანსცენდენტულობასა და ცვლილებისადმი მზაობასთან, ხოლო უარყოფითი – თვითგაძლიერებასთან.

გარდა ამისა, დადასტურდა მრავალ კვლევაში მოცემული შედეგი საკუთარი თავისა და სხვების მიმღებლობის კავშირთან დაკავშირებით (Williams, C., JayLynn, S. 2005), თუმცა აღმოჩნდა, რომ სხვების მიმღებლობა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ უკავშირდება კვლევაში მოცემულ არცერთ ცვლადს. სავარაუდოდ, საკუთარი თავის და სხვების მიმართ დამოკიდებულებების და წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე სხვადასხვა პროცესები ახდენს გავლენას, თუმცა ამ შემთხვევაში მაინც არ გვაქვს საკმარისი საფუძველი მთლიანად უარყოფით ზოგად მიმღებლობაში მორალური ორიენტაციის მნიშვნელობა.

გამომდინარე იქიდან, რომ ფსიქოლოგიური მოქნილობა ოთხივე ღირებულებათა სისტემასთან მნიშვნელოვან კავშირში იყო, ღირებულებათა ინდივიდუალური პრედიქტორული ძალის დასადგენად გაკეთდა მრავალმხრივი იერარქიული რეგრესული ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ კონსერვაციას და თვითგაძლიერებას, გარკვეულწილად, ჰქონდათ პრედიქტორული ძალა, მოდელში თვითტრანსცენდენტურობისა და ცვლილებისადმი მზაობის დამატებამ საგრძნობლად გაზარდა ფსიქოლოგიური მოქნილობის პრედიქციის ღირებულება. განსაკუთრებით ძლიერი დამოუკიდებელი პრედიქტორი ცვლილებისადმი მზაობა აღმოჩნდა. ეს შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ მიერ მეორე საფეხურზე დამატებული ორი ღირებულებათა სისტემა (თვითტრანსცენდენტურობა და ცვლილებისადმი მზაობა) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მოქნილობის ჩამოყალიბებაში.

რაც შეეხება საკუთარი თავის მიმღებლობას, ანალოგიური პრინციპით შეირჩა ორი სისტემა, რომელთა კონტროლიც მოხდა პირველ საფეხურზე (თვითგაძლიერება და კონსერვაცია), მათ დამოუკიდებლად არ ჰქონდათ პრედიქტორული ძალა თვითმიმღებლობისას, თუმცა მეორე საფეხურზე, თვითტრანსცენდენტულობისა და ცვლილებისადმი მზაობის დამატების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ორივე გაკონტროლებული ცვლადი დამოუკიდებლად, მნიშვნელოვანი პრედიქტორი იყო დაბალი უპირობო თვითმიღების წინასწარმეტყველებისას, ხოლო ცვლილებისადმი ღიაობას პირიქით, მნიშვნელოვანი პრედიქტორული ძალა ჰქონდა მაღალი მიმღებლობისას.

#### *მორალური ორიენტაცია, ფსიქოლოგიური მოქნილობა და მიმღებლობა*

საინტერესოა, რომ კვლევის შედეგებმა არ გაამართლა ვარაუდი მორალური ორიენტაციისა და მიმღებლობის ხარისხთან კავშირების შესახებ. როგორც აღმოჩნდა, ის თუ რომელ მორალურ ტიპოლოგიაში ერთიანდება ადამიანი, არ აისახება იმაზე თუ რამდენად მიმღებელი იქნება ის საკუთარი თავისა თუ სხვების მიმართ.

რა აყალიბებს მაღალ მიმღებლობას – მორალური ორიენტაციის წყარო და ფსიქოლოგიური...

თუმცა, ფსიქოლოგიურ მოქნილობასთან კავშირები მაინც მნიშვნელოვანი იყო. შედეგებმა აჩვენა, რომ სიტუაციონიზმი მაღალ ფსიქოლოგიურ მოქნილობასთან იყო დაკავშირებული, მაშინ როდესაც ექსეფციონიზმი – დაბალთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფების ერთმანეთთან შედარების საფუძველზე, აღმოჩნდა, რომ ექსეფციონისტების მაჩვენებელი ფსიქოლოგიური მოქნილობის მიხედვით დანარჩენ სამივე ჯგუფთან შედარებით დაბალია. ეს კიდევ ერთხელ ამყარებს მოსაზრებას, რომ ამ ტიპოლოგიის და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას შორის კავშირი არსებობს. ეს გამოჩნდა წრფივი რეგრესიის საშუალებითაც, სადაც სიტუაციონიზმი დადებითი პრედიქტორი აღმოჩნდა, ხოლო ექსეფციონიზმი პირიქით – დაბალ ფსიქოლოგიურ მოქნილობას წინასწარმეტყველებს.

## მედიაცია

ჩვენ მიერ მიღებული რამდენიმესაფეხურიანი კვლევის შესაჯამებლად და მედიაციური კავშირის აღმოჩენის მიზნით, შეიქმნა სტრუქტურული გათანაბრების მოდელი, რომელშიც, კვლევის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, მორალური ორიენტაციის ტიპებიდან მხოლოდ აბსოლუტიზმი და სიტუაციონიზმი შევიდა.

მოდელი სტატისტიკურად გამართლდა და ძალიან კარგად მოერგო თეორიას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მორალური ორიენტაციის ტიპებს არ აქვთ გავლენა საკუთარი თავის ან სხვების მიმღებლობის ხარისხზე, შესაბამისად, მედიაციური კავშირი მათ შემთხვევაში არ შემონმბეულა. განსხვავებით ამისგან, მედიაციური კავშირი აღმოჩნდა ღირებულებათა სამ სისტემასა და თვითმიმღებლობას შორის, ფსიქოლოგიური მოქნილობის სახით.

როგორც აღმოჩნდა, ფსიქოლოგიური მოქნილობა მოქმედებს, 1. თვითტრანსცენდენტულობის და უპირობო თვითმიღების; 2. თვითგაძლიერებისა და უპირობო თვითმიღების; 3. ცვლილებისადმი მზაობისა და უპირობო თვითმიღების კავშირებზე, თუმცა ის არ არის სრული მედიატორი ამ კავშირებისა.

## სქესისა და ასაკის მიხედვით განსხვავებები

ლოგიკური შედეგი მივიღეთ აბსოლუტიზმისა და ექსეფციონიზმის შემთხვევაში, სადაც პირველ შემთხვევაში 56 წლიდან ადამიანები აღემატებოდნენ 18-25 წლამდე ახალგაზრდებს, ხოლო მეორე შემთხვევაში იგივე ასაკობრივ კატეგორიებს საპირისპირო მიმართულება ჰქონდათ. ეს ერთი შეხედვით ბუნებრივია, რადგან ახალგაზრდები ნაკლებად აღიარებენ აბსოლუტებს და მეტად გახსნილები არიან ახალი გამოცდილებებისადმი, მათ კიდევ ბოლომდე არ აქვთ ჩამოყალიბებული მოსაზრებები, რომლებიც კითხვას არ ექვემდებარება (Lehmann, R., Allemand, M., et al.). ამას მხარს უჭერს ცვლილებებისადმი ღიაობასა და კონსერვაციის ღირებულებებში ასაკობრივი განსხვავებები, 18-25 წლამდე ადამიანებს, სხვებთან შედარებით, უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ ცვლილებებისადმი ღიაობის მაჩვენებელზე, ხოლო მნიშვნელოვნად დაბალი კონსერვაციის მაჩვენებელზე.

სქესის მიხედვით განსხვავება კი სიტუაციონიზმსა და ექსეფციონიზმს შორის დაფიქსირდა, სადაც კაცები მეტი ალბათობით ექსეფციონიზმში ერთიანდებიან, ხოლო

ქალები პირიქით – სიტუაციონიზმში, ამასთან შესაბამისობაშია მათი თვითტრანსცენდენტურობისა და თვითგაძლიერების მაჩვენებლებიც, საიდანაც პირველზე ქალებს უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ, ხოლო მეორეზე – კაცებს. სქესთა შორის ასეთი განსხვავებები მოულოდნელი არ არის, თუ გავითვალისწინებთ კულტურულ და სოციალურ გარემოს, სადაც ქალებისა და კაცების ფუნქცია-მოვალეობები, გენდერული როლების აღქმები და თუნდაც ბიოლოგიური მოცემულობები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან. ქალებს უფრო მეტად აქვთ აღებული მზრუნველის, ემპათიურის როლი, მაშინ როდესაც კაცები მიღწევისა და ძალაუფლების მსურველებად აღიქმებიან.

## დასკვნა

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მორალური ორიენტაციის საფუძვლად მდებარე ბაზისურ ღირებულებათა სისტემების აღმოჩენა და იმის გარკვევა თუ როგორ უკავშირდება მორალური ორიენტაცია პიროვნების მიმღებლობის ხარისხს. ასევე, იმის ჩვენება, რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ფსიქოლოგიურ მოქნილობას ამ კავშირის ბუნებაზე.

შედეგებმა აჩვენა, რომ მორალური ორიენტაციის საფუძველი ღირებულებათა სისტემის გარკვეულ წყობაშია, რომელიც ფსიქოლოგიური მოქნილობის მაჩვენებელს უკავშირდება და განაპირობებს იმას, თუ რამდენად მიმღებელი იქნება პიროვნება საკუთარი თავის მიმართ.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია გარკვეული დასკვნების გამოტანა:

ამა თუ იმ მორალური ორიენტაციის საფუძვლად შეგვიძლია განვიხილოთ ბაზისურ ღირებულებათა სისტემები. კერძოდ, თვითტრანსცენდენტულობა და გამოცდილები-სადმი ღიაობა მაღალ მორალურ რელატივიზმზე აისახება, მაშინ როდესაც კონსერვაციას და თვითტრანსცენდენტულობას აბსოლუტიზმის ჩამოყალიბებაში შეაქვს წვლილი.

ბაზისური ღირებულებათა სისტემები ასევე აისახებიან პიროვნების მიერ საკუთარი თავის მიმღებლობის ხარისხზე და ფსიქოლოგიური მოქნილობის მაჩვენებელზე; თვითტრანსცენდენტულობა და ცვლილებისადმი ღიაობის მაჩვენებელი უპირობო თვითმიღების პრედიქტორია და სწორედ ამავე ღირებულებებს აქვთ მნიშვნელოვანი კავშირი ფსიქოლოგიურ მოქნილობასთან, ხოლო ეს უკანასკნელი ბაზისურ ღირებულებათა სისტემებისა და საკუთარი თავის მიმღებლობის ნაწილობრივი მედიატორია.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- Altemeyer, B. (1996). *The Authoritarian Spectre*. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Arvan, M. (2011). Bad News for Conservatives? Moral Judgments and Dark Triad Personality Traits: A mCorrelational Study. *Neuroethics*, 6(2):1-12.
- Baer, R. A. (Ed.). (2006). *Mindfulness-based treatment approaches: Clinician's guide to evidence base and applications*. San Diego, CA: Elsevier.

რა აყალიბებს მაღალ მიმღებლობას – მორალური ორიენტაციის წყარო და ფსიქოლოგიური...

- Barden, J., Rucker, D. D., & Petty, R. E. (2005). "Saying one thing and doing another": Examining the impact of event order on hypocrisy judgments of others. *Personality and Social Psychology Bulletin*, 31, 1463-1474.
- Brown, L. (Ed.). (1993). *The Oxford shorter English dictionary*. New York: Oxford University Press.
- Bonanno, G. A., Papa, A., Lalande, K., Westphal, M., & Coifman, K. (2004). The Importance of Being Flexible; The Ability to Both Enhance and Suppress Emotional Expression Predicts Long-Term Adjustment. *Psychological Science*, 15(7), 482-487.
- Chamorro-Premuzic, T., & Reichenbacher, L. (2008). Effects of personality and threat of evaluation on divergent and convergent thinking. *Journal of Research in Personality*, 42, 1095-1101.
- Clinchy, B., Lief, J., & Young, P. (1977). Epistemological and moral development in girls from a traditional and a progressive high school. *Journal of Educational Psychology*, 69, 337-343.
- Commons, C. Armon, L. Kohlberg, F. A. Richards, T. A. Grotzer & J. D. Sinnott (Eds.), *Adult development* (Vol. 2, pp. 62-78). New York: Praeger.
- Dimidjian, S. & Linehan, M. M. (2003). Defining an agenda for future research on the clinical application of mindfulness practice. *Clinical Psychology: Science and Practice*, 10 (2), 166-171.
- Forsyth, D. R. (1980). A taxonomy of ethical ideologies. *Journal of Personality and Social Psychology*, 39(1), 175-184.
- Forsyth, D. R. (1981). Moral judgment: The influence of ethical ideology. *Personality and Social Psychology Bulletin*, 7, 218-223.
- Forsyth, D. R., & Berger, R. E. (1982). The effects of ethical ideology on moral behavior. *The Journal of Social Psychology*, 117, 53-56.
- Forsyth, R.D., Nye, J (1990). Personal Moral Philosophies and Moral Choice. *Journal of Research in Personality* 24, 398-414.
- Fruzzetti, A. E. & Iverson, K. M. (2004). Mindfulness, acceptance, validation, and "individual" psychopathology in couples. In S. C. Hayes, V. M. Follette and M. M. Linehan (Eds.), *Mindfulness and Acceptance* (pp. 66-95). New York: Guilford.
- Galatzer-Levy, I. R., Burton, C. L., & Bonanno, G. A. (2012). Coping flexibility, potentially traumatic life events, and resilience: a prospective study of college student adjustment. *Journal of Social and Clinical Psychology*, 31(6), 542-567.
- Geertz, C. (1973). *The interpretation of cultures*. New York: Basic Books.
- Germer, C. K. (2005). Mindfulness. In C. K. Germer, R. D. Siegel & P. R. Fulton (Eds.), *Mindfulness and psychotherapy* (pp. 3-27) New York: Guilford.
- Gowans, C. (2004). Moral relativism. *The Stanford Encyclopedia of Philosophy* Retrieved Spring, from Harman.
- Gilbert "Moral Diversity as an Argument for Moral Relativism", in Douglas Odegard and Carole Stewart (eds.), *Perspectives on Moral Relativism*, Agathon, Milliken, Ontario, 1994.
- Greenberg, L., & Safran, J. D. (1987). Emotion in psychotherapy. New York: Guilford. *Bulletin*, 28, 789-801.
- Harman, G. (1975). Moral relativism defended. *Philosophical Review*, 84, 3-22.

- Hayes, S. C. (2004a). Acceptance and Commitment Therapy and the new behavior therapies: Mindfulness, acceptance, and relationship. In S. C. Hayes, V. M. Follette and M. M. Linehan (Eds.), *Mindfulness and Acceptance* (pp. 1-29). New York: Guilford.
- Higgins, E. T. (2006). Value from hedonic experience and engagement. *Psychological Review*, *113*, 439-460.
- Kashdan, T. B., & Silvia, P. (2009). Curiosity and interest: The Benefits of thriving on novelty and challenge. In S. J. Lopez, & C. R. Snyder (Eds.), *Oxford Handbook of Positive Psychology* (pp. 367-374), 2nd Ed. New York, NY.
- Kashdan, T. B., & Silvia, P. (2009). Curiosity and interest: The benefits of thriving on novelty and challenge. In S. J. Lopez, & C. R. Snyder (Eds.), *Oxford Handbook of Positive Psychology* (pp. 367-374), 2nd Ed. New York, NY.
- Kashdan, T. B., & Rottenberg, J. (2010). Psychological flexibility as a fundamental aspect of health. *Clinical psychology review*, *30*(7), 865-878.
- King, L. A., & Hicks, J. A. (2007). Whatever happened to “what might have been”? Regret, happiness, and maturity. *American Psychologist*, *62*, 625-636.
- Klohn, E. C. (1996). Conceptual analysis and measurement of the construct of egoresiliency. *Journal of Personality and Social Psychology*, *70*, 1067-1079.
- Kruglanski, A. W., & Webster, D. M. (1996). Motivated closing of the mind: “Seizing” and “freezing”. *Psychological Review*, *103*, 263-283.
- Landstra, J., Ciarrochi, J., Deane, F. P., & Hillman, R. J. (2013). Identifying and describing feelings and psychological flexibility predicts mental health in men with HIV. *British journal of health psychology*, DOI: 10.1111/bjhp.12026.
- Maor, M., Ben-Itzhak, S. (2014). The Psychological Flexibility Questionnaire (PFQ): Development, Reliability and Validity; *5*(4): WMC004606
- McCracken, L. M., Gutiérrez-Martínez, O., & Smyth, C. (2013). “Decentering” Reflects Psychological Flexibility in People with Chronic Pain and Correlates with their Quality of Functioning. *Health Psychology*, *32*(7), 820-823.
- Mikulincer, M., Gillath, O., Sapir-Lavid, Y., Yaakobi, E., Arias, K., Tal-Aloni, L., & Bor, G. (2003). Attachment theory and concern for others’ welfare: Evidence that activation of the sense of secure base promotes endorsement of self-transcendence values. *Basic and Applied Social Psychology*, *25*, 299-312.
- Mikulincer, M., Gillath, O., Sapir-Lavid, Y., Yaakobi, E., Arias, K., Tal-Aloni, L., & Bor, G. (2003). Attachment theory and concern for others’ welfare: Evidence that activation of the sense of secure base promotes endorsement of self-transcendence values. *Basic and Applied Social Psychology*, *25*, 299-312.
- Mines, R. A., King, P. M., Hood, A. B., & Wood, P. K. (1990). Stages of intellectual development and associated critical thinking skills in college students. *Journal of College Student Development*, *31*, 538-547.
- Nolen-Hoeksema, S., Wisco, B. E., & Lyubomirsky, S. (2008). Rethinking rumination. *Perspectives on psychological science*, *3*(5), 400-424.

რა აყალიბებს მაღალ მიმღებლობას – მორალური ორიენტაციის წყარო და ფსიქოლოგიური...

- O'Brien, T. B., & DeLongis, A. (1996). The interactional context of problem-, emotion-and relationship- focused coping: The role of the Big Five personality factor' *Journal of Personality*, 64, 775-813.
- Perry, W. G. (1970). *Forms of intellectual and ethical development in the college years*. New York: Holt, Rinehart, & Winston.
- Peterson, R. F. (1994). Acceptance, experience, and choice. In S. C. Hayes, N. S. Jacobson, V. M. Follette and M. J. Dougher (Eds.), *Acceptance and change: Content and context in psychotherapy* (pp. 13-32). Reno, NV: Context Press.
- Rai, T. S., & Fiske, A. P. (2011). Moral psychology isrelationship regulation: Moral motives for unity, hierarchy, equality, and proportionality. *Psychological Review*, 118, 57–75
- Rokeach, M. (1954). The nature and meaning of dogmatism. *Psychological Review*, 61, 194-204.
- Schlenker, B. R., & Forsuth, D. R. (1977) On the Ethics of Psychological Research. *Journal of Experimental Social Psychology*, 13, 369-396.
- Schommer, M. (1998). The influence of age and schooling on epistemological beliefs. *The British Journal of Educational Psychology*, 68, 551-562.
- Schwartz, S. H. (1992). Universals in the content and structure of values: Theory and empirical tests in 20 countries. In M. P. Zanna (Ed.), *Advances in experimental social psychology* (Vol. 25, pp. 1-65). New York: Academic Press.
- Schwarz, S., Fischer, R., Verkasalo, M. (2012). Refining the theory of Basic Human Values. *Journal of personality and social Psychology*. Advanced online publication
- Silvia, P. J., & Kashdan, T. B. (2009). Interesting things and curious people: Exploration and engagement as transient states and enduring strengths. *Social Psychology and Personality Compass*, 3, 785-797.
- Skitka, L., & Mullen, E. (2002). The Dark Side of Moral Conviction. *Analyses of Social Issues and Public Policy*, 2002, pp. 35-41
- Skitka, L., Bauman, C., & Sargis, E. (2005). Moral Conviction: Another Contributor to Attitude Strength or Something More? *Journal of Personality and Social Psychology* 88 (6), 895-917
- Sorrentino, R. M., & Roney, C. R. J. (2000). The uncertain mind: Individual differences in facing the unknown. Philadelphia: *Psychology Press*.
- Stone, J., & Fernandez, N. C. (2008). To practice what we preach: The use of hypocrisy and cognitive dissonance to motivate behavior change. *Social and Personality Psychology Compass*, 2, 1024-1051.
- Weiner, E. S. C. & Simpson, J. A. (Eds.). (1991). *The compact Oxford English dictionary* (2<sup>nd</sup> ed.). New York: *Oxford University Press*.
- Wong, D. (2006). *Natural moralities*. Oxford, UK: *Oxford University Press*.
- William F. Fey, (1955). Acceptance by others and its relation to acceptance of self and others: A reevaluation. *Journal of Abnormal and Social Psychology*, 30, 274-276
- Williams, J. E., & JayLynn, S., (2010). *Acceptance: Historical and Conceptual Review*. State University of New-York.

## WHAT SHAPES HIGH ACCEPTANCE – MORAL ORIENTATION AND PSYCHOLOGICAL FLEXIBILITY

**Mariam Kvitsiani, Maia Mestvirishvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**Mariam Kvitsiani**

*Ph.D. Student, Programme: Studies in Positive Psychology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**Maria Mestvirishvili**

*Associate Professor, Departments of Psychology and Education, Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Ilia Chavchavadze ave, 11b, 0179, Tbilisi, Georgia*

*Email: maia.mestvirishvili@tsu.ge*

### Summary

The aim of this study was to examine the relationship between moral orientation types and the level of acceptance. Besides, the issue was to identify value systems on which moral types are built and their role in structuring acceptance. In the third part of the study, we describe a presumable mechanism, which might affect the relationship between moral orientation types and level of acceptance.

Data were obtained from 370 participants. Results indicated, that high level of moral absolutism (Situationism, Absolutism) related to self-transcendence and conservation value systems, while high moral relativism was associated to – openness to change. Logistic regression detected, that conservation value system is the strongest predictor of orientation type. Other than that, results suggest, that psychological flexibility closely relates to basic value systems. Multiple hierarchical regression demonstrated the role of self-transcendence and openness to change as for psychological flexibility, as well as for unconditional self-acceptance.

Path analysis indicated that psychological flexibility acted as partial mediator between basic value systems and unconditional self-acceptance. However, there was no connection between moral orientation type and acceptance.

The theoretical implication of this study is to support a newer vision of moral psychology and to help to identify the basics and outcomes of moral orientation.

The practical implication concerns to almost all therapeutic processes, which are oriented on growth of unconditional self-acceptance, and as such, it is important to consider every aspect of its constitutive.

**Key words:** *moral orientation, basic values, psychological flexibility, unconditional self-acceptance, acceptance of others*



რა აყალიბებს მაღალ მიმღებლობას – მორალური ორიენტაციის წყარო და ფსიქოლოგიური...

**დანართი**

**ცხრილი 1.**

	სიტუაცი- ონიზმი	აბსოლუ- ტიზმი	სუბიექტი- ვიზმი	ექსეფცი- ონიზმი
თვითტრანსცენდენ- ტურობა	.18***	.10*	-.12*	-.18**
თვითგაძლიერება	.16	-.12*	.12**	-.00
ცვლილებისადმი მზაობა	.09*	-.07	.15**	-.15**
კონსერვაცია	.21***	.15**	-.26***	-.13*
N	108	85	65	108

ღირებულებების და მორალური ორიენტაციის ტიპების კავშირი

\* $p \leq .05$  ; \*\* $p \leq .01$  ; \*\*\* $p \leq .001$

\*შენიშვნა: მორალური ორიენტაციის ცვლადის ბუნებიდან გამომდინარე, კორელაციური ანალიზისთვის, მოხდა კატეგორიული ცვლადის ცრუ ცვლადად გარდაქმნა (point-biserial correlation coefficient).

**გრაფა 1.**

მორალური ორიენტაციის ტიპების ლოჯისტიკური რეგრესია  
ბაზისურ ღირებულებათა სისტემებზე

	β	χ <sup>2</sup>	β
<b>სიტუაციონიზმი</b>			
კონსერვაცია	.110	.045	5.986
აბსოლუტიზმი			
კონსერვაცია	.127	.049	.681
თვითგაძლიერება	-.119	.045	.110
<b>სუბიექტივიზმი</b>			
კონსერვაცია	-.219	.054	16.563
თვითგაძლიერება	.096	.058	2.705
ღიაობა	.169	.073	5.364
<b>ექსეფციონიზმი</b>			
ტრანსცენდენტურობა	-.090	.040	5.046

**გრაფა 2.**

ფსიქოლოგიური მოქნილობის მრავალმხრივი იერარქიული რეგრესია  
ბაზისური ღირებულებების სისტემებზე

	E			<sup>2</sup>	R	ig ΔR
<b>პირველი საფეხური</b>				.311	.097	.000
თვითგაძლიერება	.023	.011	.103*			
კონსერვაცია	.053	.009	.281**			
<b>მეორე საფეხური</b>				.582	.339	.000
თვითგაძლიერება	-.022	.011	-.098*			
კონსერვაცია	.019	.010	.104			
თვითტრანსცენდენტურობა	.041	.013	.197***			
ცვლილებისადმი ღიაობა	.110	.013	.457***			

\*p ≤ .05 ; \*\*p ≤ .01 ; \*\*\*p ≤ .001

**გრაფა 2.1**

უპირობო თვითმიღების მრავალმხრივი იერარქიული რეგრესია  
ბაზისურ ღირებულებათა სისტემებზე

	E			<sup>2</sup>	R	ig ΔR
<b>პირველი საფეხური</b>				.098	.010	.000
თვითგაძლიერება	-.020	.011	-.092			
კონსერვაცია	-.004	.009	-.024			
<b>მეორე საფეხური</b>				.240	.058	.000
თვითგაძლიერება	-.036	.013	-.165**			
კონსერვაცია	-.023	.012	-.129*			
თვითტრანსცენდენტურობა	.028	.015	.137			
ცვლილებისადმი ღიაობა	.039	.015	.168**			

\*p ≤ .05 ; \*\*p ≤ .01 ; \*\*\*p ≤ .001

**გრაფა 3.**

მედიაციური კავშირი

	მედიატორის გარეშე	მედიატორით	sig
თვითტრანსცენდენტურობა<-> უპირობო თვითმიღება	0.137 (p≤001)	0.091 p≤001)	.000
თვითგაძლიერება<->უპირობო თვითმიღება	-0.157 p≤001)	-0.137 p≤001)	.000
ცვლილებისადმი მზაობა <-> უპირობო თვითმიღება	0.176 p≤001)	0.066 p≤01)	.000

## ფსიქოლოგიური მოუქნელობის კავშირი დეპრესიისა და აგრესიის მახასიათებლებთან

ეკა ნადირაძე, თეონა ლოდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

ფსიქოლოგიური მოუქნელობა, რომელიც მიღებისა და მოქმედების თერაპიის ძირეული კომპონენტია, ფსიქოპათოლოგიების განვითარების მთავარ ასპექტად მიიჩნევა. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და ადაპტაციაში ხელისშემშლელ ისეთ მდგომარეობებს შორის კავშირის დადგენას, როგორებიცაა დეპრესია და აგრესია. კვლევა ჩატარდა ქართულ პოპულაციაზე. მასში მონაწილეობას იღებდა, 14-დან 16-წლამდე 157 მოზარდი თბილისის საჯარო სკოლებიდან. მათ შორის 81 იყო ვაჟი, ხოლო 76 გოგონა. კორელაციური ანალიზის შედეგად გამოვლინდა ძლიერი დადებითი კავშირი დეპრესიასა და ფსიქოლოგიური მოუქნელობას შორის ( $r=.68$ ) ყველა ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფში. ძლიერი დადებითი კავშირი გამოვლინდა აგრესიასა და ფსიქოლოგიურ მოუქნელობას შორის ( $r=.59$ ). ამასთანავე, ფსიქოლოგიურ მოუქნელობას აქვს მედიატორის როლი დეპრესიასა და აგრესიას შორის არსებულ კავშირში. ფსიქოლოგიურ მოუქნელობას, დეპრესიასა და აგრესიას შორის არსებული მიმართებების დადგენა საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ადაპტაციისთვის ხელისშემშლელი მდგომარეობების ძირეული ასპექტები და თერაპიული მეთოდების დანერგვით მოზარდებს დავუხმაროთ ემოციური დისრეგულაციების დაძლევაში.

**საკვანძო სიტყვები:** ფსიქოლოგიური მოუქნელობა, დეპრესია, აგრესია, მიღებისა და მოქმედების თერაპია, ფსიქოლოგიური მოქნილობა

### მიმოხილვა

ფსიქოლოგიური მოუქნელობა მოიაზრებს ღირებულებებზე დაფუძნებული ქმედების წარმართვის შეუძლებლობას, ნებსებისადმი რიგიდულ მიყოლასა და მცდელობას, აკონტროლო საკუთარი ფიქრები, ემოციები და სხეულებრივი შეგრძნებები. ამის საპირისპიროდ, ფსიქოლოგიური მოქნილობა გულისხმობს უნარს, სრულად დაამყარო კავშირი არსებულ რეალობასთან და საკუთარ ღირებულებებზე დაყრდნობით წარმართო ქცევა (Steven C. Hayes, Luoma, Bond, Masuda, & Lillis, 2006). მსოფლიოში აღიარებული ახალი თერაპიული მიდგომა – მიღებისა და მოქმედების თერაპია (Steven C. Hayes et al., 2006; “Hayes, Strosahl, & Wilson, 1999 | Association for Contextual Behavioral Science,” n.d.) – ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ფსიქოლოგიური მოქნილობის ზრდას უკავშირებს. ამ მიდგომის თანახმად, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა ემყარება ღია და მოქნილ ურთიერთობას ინტერნალურ და ექსტერნალურ გარემოსთან, ნეგატიური თუ პოზიტიური გამოცდილების სრულად მიღებას. ფსიქოლოგიურ მოუქნელობას აქვს ექვსი ძირითადი წყარო: გამოცდილების არიდება, კოგნიტური შერწყმა, წარსულისა

და მომავლის დომინირება ანმყოზე, კონცეპტუალურ სელფზე მიჯაჭვულობა, ღირებულებების არქონა და ამ ყველაფრის გათვალისწინებით ქმედების წარმართვის შეუძლებლობა (Steven C. Hayes et al., 2006).

გამოცდილების ამრიგებლობა მოიაზრებს ინდივიდის მიერ საკუთარი გამოცდილებისგან დისტანცირებას, შესაბამისად, იმ კონტექსტთან განრიდებას, რომელშიც ასეთი გამოცდილება იჩენს თავს (S. C. Hayes, Wilson, Gifford, Follette, & Strosahl, 1996). ფსიქოპათოლოგიების შემსწავლელი თეორიების თანახმად, ამრიგებლური ქცევა ემოციური აშლილობების გაზრდილ რისკთან არის დაკავშირებული (Kashdan, 2010).

საგულისხმოა ფსიქოლოგიური მოუქნელობის კავშირი დეპრესიასა (Ruiz, 2010) და ბრაზთან. ბრაზის არიდების მოდელის თანახმად, ბრაზის შემცირების მიზნით მოუქნელი სტრატეგიების გამოყენება არაადაპტური მექანიზმია და აგრესიისა და ძალადობრივი ქცევის განხორციელების მიზეზი ხდება (Gardner & Moore, 2008). აგრესიისა და დეპრესიის გაზრდილი მაჩვენებელი საგულისხმოა მოზარდობის ასაკში, როდესაც მიმდინარეობს იდენტობის ფორმირება. მოზარდობის ასაკში აგრესია უკავშირდება ისეთ მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემებს, როგორებიცაა: ბულინგი, ანტისოციალური ქმედება, ფიზიკური ზიანის მიყენება და ა.შ. აგრესიისა და დეპრესიის საფუძვლად მდებარე მექანიზმების შესწავლა შესაძლებელს გახდის ვმართოთ აღნიშნული მდგომარეობები. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე შემუშავდა შემდეგი საკვლევი ჰიპოთეზები:

1. ფსიქოლოგიური მოუქნელობის მახასიათებელი დადებით კავშირში უნდა იყოს დეპრესიასთან და იყოს მისი პრედიქტორი;
2. ფსიქოლოგიური მოუქნელობის მახასიათებელი დადებით კავშირში უნდა იყოს აგრესიასთან და იყოს მისი პრედიქტორი;
3. დეპრესიასა და აგრესიას შორის უნდა იყოს დადებითი კავშირი.

## ფსიქოლოგიური მოუქნელობა და დეპრესია

მრავალი კვლევა ადასტურებს კავშირს ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და დეპრესიას შორის. მიღებისა და მოქმედების თერაპიის თანახმად, დეპრესიული სიმპტომები უკავშირდება ინდივიდის მიერ მიუღებელ არასასურველ შინაგან გამოცდილებას (Steven C. Hayes et al., 2006). დეპრესიისადმი მიდრეკილ ინდივიდებს მოუქნელი კოგნიციები და ემოციები ახასიათებთ. ამრიგებლური ქცევის საშუალებით ცდილობენ გაექცნენ არასასურველ შინაგან გამოცდილებას (Williams, 2008). Ehrling და Watkins ემხრობიან მოსაზრებას, რომ განმეორებადი ნეგატიური ფიქრები პირველი ღერძის აშლილობათა მნიშვნელოვან ნაწილში ვლინდება (Ehrling & Watkins, 2008).

ფსიქოლოგიური მოუქნელობის კიდევ ერთი წყარო – კოგნიტური შერწყმა – აღწერს მდგომარეობას, როდესაც გონება დატყვევებულია ავერსიული აზრების მიერ, რომლებიც სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში აღმოცენდება (“Hayes, Strosahl, & Wilson, 1999 | Association for Contextual Behavioral Science,” n.d.). რაც უფრო მეტად უჭირს ინდივიდს საკუთარი ავტომატური აზრების იდენტიფიცირება, მით უფრო მეტად აქვს მცდელობა, თავიდან აირიდოს ისინი და მათთან დაკავშირებული ავერსიული

ფსიქოლოგიური მოუქნელობის კავშირი დეპრესიისა და აგრესიის მახასიათებლებთან

გამოცდილება (S. C. Hayes et al., 1996). კვლევები აჩვენებს, რომ პრობლემასთან გამკლავების ამრიდებლური სტილი ფსიქოპათოლოგიების განვითარების რისკს ზრდის (Rohde, M. Lewinsohn, Tilson, & R. Seeley, 1990).

წარსულზე ან მომავალზე რიგიდულად მიმართული ყურადღება, რომელიც ფსიქოლოგიური მოუქნელობის კიდევ ერთი წყაროა, დეპრესიის ერთ-ერთი მახასიათებელს – რუმინაციას უკავშირდება (Davis & Nolen-Hoeksema, 2000). რუმინაცია განაპირობებს ინდივიდის ფოკუსირებას ნეგატიურ აზრებზე, ემოციებსა და ქმედებაზე (Papageorgiou & Siegle, 2003) (Treynor, Gonzalez, & Nolen-Hoeksema, 2003). დეპრესიის რეაქციის სტილის თეორიის თანახმად (Just & Alloy, 1997; Susan Nolen-Hoeksema & Morrow, 1991), ინდივიდები, რომლებიც სიმპტომებზე არიან ფოკუსირებულნი, უფრო მეტად ავლენენ (S. Nolen-Hoeksema, Morrow, & Fredrickson, 1993) და ინარჩუნებენ (Davis & Nolen-Hoeksema, 2000) დეპრესიას. კვლევებით დადასტურდა, რომ ნეგატიური მოვლენების არიდებასა და მათზე ფიქსირებაზე დიდ ენერჯიას ხარჯავენ ინდივიდები, რომლებიც ფსიქოლოგიური მოუქნელობით ხასიათდებიან (Bond & Bunce, 2003). ბოლოდროინდელი კვლევები აჩვენებს კავშირს ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და დეპრესიას შორის კოლეჯის სტუდენტებში (Gloster, Klotsche, Chaker, Hummel, & Hoyer, 2011), დასაქმებულებში (Bond et al., 2011), ქრონიკული ტკივილის მქონე ინდივიდებში (McCracken, Williams, & Tang, 2011). გაირკვა ისიც, რომ მიღებისა და მოქმედების თერაპიული მიდგომით ინტერვენციისას ფსიქოლოგიური მოუქნელობის დონის შემცირება უკავშირდებოდა დეპრესიის შემცირებას (Bohlmeijer, Fledderus, Rokx, & Pieterse, 2011).

## ფსიქოლოგიური მოუქნელობა და აგრესია

აგრესია და მასთან დაკავშირებული სოციალური ქცევა მოზარდობის ასაკში მნიშვნელოვანი პრობლემაა და უკავშირდება ასაკთან დაკავშირებული ემოციების რეგულაციის სირთულეს. აგრესიული ქცევის გამოვლინება იმატებს მოზარდობის პერიოდში (Loeber & Hay, 1997).

აგრესიის ამხსნელი ერთ-ერთი თეორიის – ბრაზის არიდების მოდელის (Gardner & Moore, 2008) თანახმად, ადრეულ ასაკში მიღებული ნეგატიური გამოცდილება ინფორმაციის გადამუშავებისა და ემოციური რეგულაციის უნარზე უარყოფითად მოქმედებს დამტრული რუმინაციის სახით ვლინდება. ამ მოდელის თანახმად, აგრესიული ქცევა შეიძლება შეფასდეს, ბრაზის, როგორც ნეგატიური ემოციის, მიუღებლობით გამოწვეული ქცევა. ემპირიული მონაცემებიდან ირკვევა, რომ აგრესიული ქცევა (Bushman, Baumeister, & Phillips, 2001), კონკრეტულად კი ინტერპერსონალური ძალადობა (Jakupcak, Lisak, & Roemer, 2002), გაქცევაზე დამყარებული ემოციური რეგულაციის სტრატეგიას წარმოადგენს. ბრაზის განცდისგან გაქცევის მოსაზრებას მხარს უჭერს ისიც, რომ ე.წ. „არაფრის განცდა“ უშუალოდ აგრესიის გამოვლენისა და მის შემდგომ პერიოდში იჩენს თავს (Gardner & Moore, 2013).

გამოცდილების ამრიდებლობასა და აგრესიას შორის კავშირი ნაკლებად არის შესწავლილი. ერთ-ერთი კვლევიდან, რომელიც მამრობითი სქესის სტუდენტებზე ჩატარდა,

გაირკვა, რომ ამრიგებლობა აგრესიულ ქცევასთან კავშირში იყო იმ შემთხვევაშიც, როცა გაკონტროლებული იყო PTSD სიმპტომები და ბრაზის მახასიათებელი (Tull, Jakupcak, Paulson, & Gratz, 2007). სხვა კვლევამ აჩვენა, რომ გამოცდილების ამრიგებლობა კავშირში იყო ინტიმური ხასიათის ფიზიკურ ძალადობასა და ვიქტიმიზაციასთან მამაკაცებში (Reddy, Meis, Erbes, Polusny, & Compton, 2011).

კოლეჯის სტუდენტებზე ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, ჩაგვრისკენ მიდრეკილ, ამრიგებლობისა და მცირე მხარდაჭერის მქონე ინდივიდებს აგრესიის მაღალი დონე ახასიათებთ (Scarpa, Haden, & Hurley, 2006). აღსანიშნავია ისიც, რომ ბრაზი ნეგატიურ კავშირში იყო AAQ-II-თი გაზომილი გამოცდილების არიდების კონსტრუქტთან (“Understanding Anger through the Framework of Experiential Avoidance – Pro-Quest,” n.d.).

## დეპრესია და აგრესია

დეპრესიასა და აგრესიას შორის კავშირზე ჯერ კიდევ ფსიქოანალიტიკოსები საუბრობდნენ. ფროიდი დეპრესიას საკუთარი თავისადმი მიმართულ აგრესიად მიიჩნევდა (Newman & Hirt, 1983). ბრენერმა (Brenner, 1991) და მილროდმა (Milrod, 1988) შემოგვთავაზეს დეპრესიისა და აგრესიის კავშირის თანამედროვე ახსნა. ბრენერის თეორია დეპრესიას პიროვნულ მახასიათებლად, აგრესიას კი დეპრესიულ სიმპტომებზე საპასუხო შესაძლო დაცვის მექანიზმად მიიჩნევს.

დეპრესიისა და აგრესიის შესაძლო კავშირს ადასტურებს მრავალი კვლევა. ერთ-ერთ კვლევაში დეპრესიული მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ პაციენტები ნაკლებად თვითკრიტიკულები ხდებოდნენ, ხოლო საკუთარი თავისკენ მიმართული აგრესია იკლებდა (Mayo, 1967). შვედეთში ჩატარებულ ერთ-ერთ კვლევაში დეპრესიის მქონე ინდივიდები შეადარეს დეპრესიის არმქონეებს მათი კრიმინალური ისტორიის მიხედვით. დეპრესიის მქონე ინდივიდები 3-ჯერ მეტად იყვნენ მიდრეკილნი, ჩაედინათ ძალადობრივი ქმედებები, მკვლელობა ან თავდასხმა (Fazel et al., 2015). ეს შედეგი მნიშვნელობას ინარჩუნებდა მაშინაც, როცა გათვალისწინებული იყო ძალადობის ისტორია, თვითდამაზიანებელი ქცევა, ნივთიერებების მოხმარება. ამასთანავე, დეპრესიის სიმწვავის შესაბამისად ძალადობის რისკი იზრდებოდა. დეპრესიისა და ძალადობრივი ქმედების კავშირი დადასტურდა, აგრეთვე, მოზარდების შემთხვევაშიც. კვლევაში, რომელშიც სწავლის მეშვიდე საფეხურის მოსწავლეები მონაწილეობდნენ, დეპრესიის სიმპტომები ძალადობრივი ქმედების განხორციელების მნიშვნელოვანი პრედიქტორი აღმოჩნდა (Blitstein, Murray, Lytle, Birnbaum, & Perry, 2005).

დეპრესიის მქონე მოზარდები განიცდიან სირთულეს ბრაზის გამოხატვაშიც. ბრაზის არიდების მოდელის თანახმად, ბრაზის არაადაპტური გზით გამოვლენას აგრესიამდე მივყავართ. ამასთანავე, დეპრესიულ ინდივიდებს, დეპრესიის არმქონეებთან შედარებით, მეტი სირთულე აღენიშნებათ ბრაზზე კოგნიტიური კონტროლის განხორციელების მხრივ (Kashani, Dahlmeier, Borduin, Soltys, & Reid, 1995).

იმპულსურობა, რომელიც ფსიქოლოგიური მოუქნელობის ერთ-ერთი ასპექტია, აგრეთვე, ხშირია დეპრესიის მქონე პაციენტებში და ის პოზიტიურ კავშირშია აგრე-

ფსიქოლოგიური მოუქნელობის კავშირი დეპრესიისა და აგრესიის მახასიათებლებთან

სიულ ქცევასთან (Perroud, Baud, Mouthon, Courtet, & Malafosse, 2011). დეპრესიის მქონე ინდივიდებში იმპულსურობა აგრესიულობას უკავშირდებოდა, მაშინ, როცა დეპრესიის არმქონე ინდივიდების ჯგუფში იმპულსურობი და არაიმპულსურობი არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან აგრესიის გამოვლენის თვალსაზრისით (“Effects of impulsivity, depression, provocation, and time on aggressive behavior” n.d.).

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ფსიქოლოგიური მოუქნელობის კავშირის კვლევას წარმოდგენილ ორ ცვლადთან. დეპრესიასა და აგრესიას შორის კავშირის შესასწავლად ჩატარებულმა კვლევებმა გააჩინა ახალი კვლევის კითხვა: რამდენად არის ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და აგრესიას შორის კავშირი პირდაპირი და ხომ არ არის ის გაშუალებული დეპრესიით. ამასთანავე, თუ ბრენერის თეორიას დავეყრდნობით და დეპრესიას პიროვნულ მახასიათებლად მივიჩნევთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და დეპრესიას, შესაძლოა, ურთიერთგადამფარავი მნიშვნელობა ჰქონდეთ აგრესიის ახსნაში.

## მეთოდი

### მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობას იღებდა 157 მოსწავლე თბილისის სხვადასხვა უბანში მდებარე ოთხი საჯარო სკოლიდან. მათი ასაკი მერყეობდა 14-დან 16-წლამდე. მათგან 81 იყო ვაჟი, ხოლო 76 – გოგონა.

### პროცედურა

კვლევა ჩატარდა თბილისის მასშტაბით ოთხ საჯარო სკოლაში. პირველ რიგში, საჯარო სკოლებიდან მივიღეთ თანხმობა კვლევის ჩატარების თაობაზე. სკოლის დირექტორებს მივანოდეთ ინფორმაცია კვლევის მიზნების შესახებ. შეფასების პროცედურა ტარდებოდა სკოლებში. სტანდარტული ინსტრუქციის მიცემის შემდეგ მოსწავლეებს მიენოებოდათ დეპრესიის, ფსიქოლოგიური მოუქნელობისა და აგრესიის შესაფასებელი კითხვარები და პასუხის ფურცელი.

## საზომები

### მიღებისა და ქმედების კითხვარი

ფსიქოლოგიური მოუქნელობის შესაფასებლად გამოვიყენეთ მიღებისა და ქმედების კითხვარი (Acceptance and Action Questionnaire – II;) (Bond et al., 2011), რომელიც ზომავს ერთფაქტორიან კონსტრუქტს. კითხვარი შედგება 7 დებულებისგან. AAQ-ს რევიზირებული ვერსია აჩვენებს კარგ კონვერგენტულ და დისკრიმინაციულ ვალიდობას, შინაგან შეთანხმებულობას (ალფა კოეფიციენტით – 0.840) და 3 – 12 თვით განსაზღვრულ ტესტ-რეტესტ სანდოობას, შესაბამისად, .810 და .790 კოეფიციენტით (Bond et al., 2011).

წარმოდგენილ კვლევაში მონაწილეები დებულებას აფასებდნენ 7-საფეხურიანი ლიკერტის ტიპის სკალაზე, სადაც 1-ით აღინიშნებოდა „არასოდესაა მართებული“, ხოლო 7 ქულით – „ყოველთვის მართებულია“. მონაწილეებს მიეცათ ინსტრუქცია

შეეფასებინათ რამდენად იყო დებულებები მართებული მათთან მიმართებაში. კითხვარში მიღებული მაღალი ქულა ფსიქოლოგიურ მოუქნელობას, ხოლო დაბალი – ფსიქოლოგიურ მოქნილობას აღნიშნავს. კითხვარის შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი არის მაღალი ( $\alpha=.853$ ).

### დეპრესიის შესაფასებელი კითხვარი

დეპრესიის დონის შესაფასებლად გამოვიყენეთ ბეკის დეპრესიის საკვლევი კითხვარი. კითხვარის ორიგინალი ვერსია 21-დებულებიანი ინსტრუმენტი, რომელიც თვითადმინისტრირებად კითხვართა ჯგუფს მიეკუთვნება და დეპრესიის სიმპტომების გასაზომად გამოიყენება (Salkind, 1969). ჩვენ მიერ გამოყენებული, ქართულ პოპულაციაზე მორგებული ვერსია შედგება 18 დებულებისგან. თითოეულ დებულებას თან ახლავს 5 სავარაუდო პასუხი, რომელიც ერთმანეთისგან სიმპტომების გამოვლენის სიხშირით განსხვავდებიან. კითხვარის ადმინისტრირება საშუალოდ მოითხოვს 10 წუთს და მეხუთე-მეექვსე საფეხურის კითხვის დონეს (“Beck Depression Inventory (BDI),” n.d.).

ბეკის დეპრესიის საკვლევი კითხვარის სანდოობა სხვადასხვა მონაცემებით მერყეობს .73-დან .92-მდე, სანდოობის საშუალო მაჩვენებელი ტოლია .86-ის (“Psychometric properties of the Beck Depression Inventory: Twenty-five years of evaluation – ScienceDirect,” n.d.). ჩვენს კვლევაზე დაყრდნობით, შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი მაღალი იყო ( $\alpha = .850$ ). მაღალი იყო, აგრეთვე, მისი ცალკეული სკალების შინაგანი შეთანხმებულობა, კერძოდ, მტრულობის სანდოობა იყო .812, ბრაზის – .698, ფიზიკური აგრესიის – .742, ვერბალური აგრესიის – .696.

### აგრესიის საკვლევი კითხვარი

აგრესიის შესაფასებლად გამოვიყენეთ ბასისა და პერის აგრესიის საკვლევი კითხვარი (“Buss AH, Perry M. The aggression questionnaire. J Pers Soc Psychol 63: 452-459,” n.d.), რომელიც ოთხ სუბსკალას მოიცავს და ზომავს, შესაბამისად, აგრესიის ოთხ სახეს: ფიზიკურ აგრესიას, ვერბალურ აგრესიას, ბრაზსა და მტრულობას. მათგან პირველი ორი წარმოადგენს აგრესიის ინსტრუმენტულ კომპონენტს, ბრაზი არის ემოციურ-აფექტური, ხოლო მტრულობა კოგნიტური კომპონენტი. კითხვარი შედგება 29 დებულებისგან. თითოეული დებულება ფასდება 6-ქულიანი ლაიკერტის ტიპის სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „საერთოდ არ მახასიათებს“, ხოლო 6 – „სავსებით მახასიათებს“. აგრესიის საკვლევი კითხვარის შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი, ჩვენი კვლევის მონაცემებით, მაღალი იყო ( $\alpha = .866$ ). მაღალი იყო, აგრეთვე, მისი ცალკეული სკალების შინაგანი შეთანხმებულობა, კერძოდ, მტრულობის სანდოობა იყო .812, ბრაზის – .698, ფიზიკური აგრესიის – .742, ვერბალური აგრესიის – .696.

### მონაცემთა ანალიზი

მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS-20-ის საშუალებით.

### შედეგები

ჯგუფთაშორისი განსხვავებების მხრივ, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა გამოვლინდა ფსიქოლოგიური მოუქნელობის მახასიათებლის მიხედვით სქესთა შორის



ფსიქოლოგიური მოუქნელობის კავშირი დეპრესიისა და აგრესიის მახასიათებლებთან

( $F = .040, p < .05$ ). გოგონები უფრო მაღალი მოუქნელობით ხასიათდებოდნენ ( $M = 21.8, SD = 9.5$ ), ვიდრე ბიჭები ( $M = 17.90, SD = 8.90$ ).

საკვლევი ცვლადების აღწერითი სტატისტიკა და მათ შორის არსებული კორელაციები მოცემულია ცხრილში 1. ძლიერი დადებითი კავშირი გამოვლინდა ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და დეპრესიას შორის ( $r = .680$ ). ასევე ძლიერ დადებითი კავშირი გამოვლინდა აგრესიასა და ფსიქოლოგიურ მოუქნელობას შორის ( $r = .590$ ). ეს კავშირი განსაკუთრებით მაღალ მნიშვნელობას იძენს აგრესიის მტრულობის კომპონენტის შემთხვევაში ( $r = .680$ ). დეპრესიასა და აგრესიას შორის საშუალო სიძლიერის დადებითი კავშირი გამოვლინდა ( $r = .430$ ).

### ცხრილი 1

საკვლევი ცვლადების საშუალოები, სტანდარტული გადახრები, ალფა კოეფიციენტი და კორელაციები

	M	SD	1	2	3	Cronbach $\alpha$
1. Aggress.	85.35	21.25	-	.435**	.593**	.866
Anger	19.25	6.52	.819**	.337**	.433**	.698
Hostility	21	8.43	.709**	.509**	.683**	.812
Ph. Aggress.	27.12	8.08	.752**	.266**	.378**	.742
Verb. Aggress.	17.94	5.51	.698**	-	.175**	.696
2. Dep.	35.1	11.06	-	-	.682**	.850
3. Psych. Inflex.	19.83	9.41	-	-	-	.853
Controlling for psych. Inflex.		Aggress.	Anger.	Hostility.	Ph.Aggress.	Verb.aggress.
correl		.052	.063	.081	.012	-.013
sig		.519	.434	.315	.881	.871
$N = 157$						
** $p < .01$						

პარციალური კორელაციური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ აგრესიასა და დეპრესიას შორის კავშირი, ფსიქოლოგიური მოუქნელობის გაკონტროლების შემდეგ, კარგავდა სტატისტიკურ მნიშვნელობას. ცხრილში 1 მოცემულია აგრესიას, მის ცალკეულ კომპონენტებსა და დეპრესიას შორის კავშირი ფსიქოლოგიური მოუქნელობის ცვლადის გაკონტროლების შემდეგ.

Baron-ის და Kenny-ს (1986) რეკომენდაციის გათვალისწინებით, ორი ცვლადის კავშირში მესამე ცვლადის გამაშუალებელი მნიშვნელობის გამოსავლენად საჭიროა სრულდებოდეს შემდეგი პირობები: პრედიქტორსა და გამოსავალ ცვლადს შორის იყოს კავშირი, გამაშუალებელ ცვლადსა და პრედიქტორს შორის იყოს კავშირი, შუამავალსა და გამოსავალ ცვლადს შორის იყოს კავშირი, პრედიქტორსა და გამოსავალს შორის კავშირი სუსტდებოდეს შუამავალი ცვლადის გაკონტროლების შემდეგ. ჩვენ მიერ ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ყველა მოცემული პირობა სრულდება. კერძოდ,

ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და დეპრესიას შორის არსებობს ძლიერი კავშირი ( $\beta = 0.682, p < 0.01$ ). ასევე, ძლიერი კავშირი არსებობს ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და აგრესიას შორის ( $\beta = 0.593, p < 0.01$ ). საშუალო სიძლიერის კავშირი გამოვლინდა დეპრესიასა და აგრესიას შორის ( $\beta = 0.435, p < 0.01$ ). ფსიქოლოგიურ მოუქნელობას ჰქონდა მაღალი პრედიქტული ღირებულება აგრესიის ახსნაში ( $\beta = .550, p < .01$ ). ფსიქოლოგიური მოუქნელობის გაკონტროლების შემდეგ დეპრესიას უკვე აღარ ჰქონდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ღირებულება აგრესიის ცვლადის ახსნაში. ცხრილში 2 მოცემულია რეგრესიული ანალიზის საბოლოო შედეგი, სადაც ჩანს, რომ დეპრესია დამოუკიდებლად ვერ ხსნის ცვლილებებს აგრესიის ცვლადში. ეს შედეგები ამყარებს მოსაზრებას, რომ კავშირი დეპრესიასა და აგრესიას შორის გაშუალებულია ფსიქოლოგიური მოუქნელობით.

## ცხრილი 2

რეგრესიული ანალიზი ფსიქოლოგიური მოუქნელობის მედიატორული წვლილის განსაზღვრისთვის აგრესიასა და დეპრესიას შორის

პრედიქტორები	B	t	p	R <sup>2</sup>	F	p
				.354	42.16	.000
Depress.	.057	.646	.519			
Psych. Inflex.	.554	6.262	.000			

## დისკუსია

წარმოდგენილი კვლევა ხელს უწყობს ახალი კონსტრუქტის – ფსიქოლოგიური მოუქნელობის შესახებ ცოდნის გაფართოებას. აქამდე არსებული კვლევების გათვალისწინებით, წარმოდგენილი ნაშრომის ჰიპოთეზა იყო, რომ ფსიქოლოგიური მოუქნელობა დეპრესიისა და აგრესიის მაღალ მაჩვენებელთან იქნებოდა კავშირში. როგორც მოსალოდნელი იყო, ძლიერი კავშირი დადასტურდა ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და დეპრესიას შორის ( $r = 0.680$ ). აღნიშნულმა შედეგმა გაიმეორა აქამდე არსებული კვლევის შედეგები, სადაც ეს მნიშვნელობა 0.60-ის ტოლი იყო (Kato, 2016). საგულისხმოა ისიც, რომ აქამდე ჩატარებული კვლევების მსგავსად (Miron, Sherrill, & Orcutt, 2015), ფსიქოლოგიური მოუქნელობა უფრო მაღალი იყო მდედრობითი სქესის ინდივიდებში, ვიდრე მამრობითი სქესის ინდივიდებში. მდედრობითი სქესის ინდივიდებში დეპრესია უფრო მაღალი სიხშირით იჩენს თავს (Albert, 2015), რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს ფსიქოლოგიური მოუქნელობის მახასიათებელს.

ასევე მაღალი დადებითი კავშირი გამოვლინდა ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და აგრესიას შორის ( $r = .590$ ). საინტერესოა ისიც, რომ ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და ინსტრუმენტულ აგრესიას შორის კავშირი შედარებით სუსტი იყო (ვერბალური აგრესია  $r = .175$ ; ფიზიკური აგრესია  $r = .378$ ), ხოლო ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და მტრულობის კომპონენტს შორის კავშირი, აგრესიის სხვა კომპონენტებთან შედარებით, ძლიერი ( $r = .680$ ). აღნიშნული შედეგი კარგად აიხსნება აგრესიის ინსტრუმენტული

კომპონენტის ხასიათის გათვალისწინებით. ინსტრუმენტული აგრესია წინასწარ განზრახული ქმედებაა, რომელიც ორიენტირებულია შედეგზე. შესაბამისად, მასზე ნაკლებად მოახდენს გავლენას ის ავტომატური პროცესები, რომლებიც ფსიქოლოგიური მოუქნელობითაა გამონვეული. აღნიშნულისგან განსხვავებით, აგრესიის მტრულობისა და ბრაზის კომპონენტები კოგნიტურ-აფექტურ მდგომარეობას გულისხმობს, რომელშიც ავტომატიზმი დიდ როლს ასრულებს. აგრესიის მტრულობის კომპონენტსა და ამრიგდებლურ ქცევას შორის კავშირი დადასტურებულია აქამდე ჩატარებულ კვლევებშიც (Gerhart, Baker, Hoerger, & Ronan, 2014).

რეგრესიული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ფსიქოლოგიურ მოუქნელობას შეუძლია ახსნას ცვლილებები აგრესიის ცვლადში, მაშინ, როცა გაკონტროლებულია დეპრესიის ცვლადი. ამასთანავე, დეპრესიასა და აგრესიას შორის კავშირი გაშუალებულია ფსიქოლოგიური მოუქნელობით. ერთ-ერთ კვლევაში მიღებული შედეგით მიღებისა და ქმედების თერაპიით ინტერვენციის შემდეგ ფსიქოლოგიური მოუქნელობის შემცირებასთან ერთად მცირდებოდა როგორც პარტნიორებზე განხორციელებული ძალადობა, ისე დეპრესიის სიმპტომები (Zarling, 2013).

ასაკობრივ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლინდა, თუმცა შეინიშნებოდა საინტერესო დინამიკა. 14-დან 16-წლამდე ინდივიდებში ფსიქოლოგიური მოუქნელობა იზრდებოდა. ფსიქოსოციალური განვითარების თეორიის თანახმად, აღნიშნულ ასაკში ხდება ღირებულებათა გადაფასება და იდენტობის ძიება. როგორც აღვნიშნეთ, ფსიქოლოგიური მოუქნელობის ერთ-ერთი ძირეული ასპექტი სწორედ ღირებულებებზე დამყარებული ქმედების წარმართვის სირთულეა. შესაბამისად, მომნიშვნელო ღირებულებათა სისტემის მქონე ინდივიდები ნაკლები მოუქნელობით ხასიათდებიან თანატოლებთან შედარებით. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ იდენტობის ძიების შუა ასაკობრივი საფეხური ღირებულებათა სისტემის დიფუზიით ხასიათდება, რაც 14-დან 16-წლამდე ინდივიდთა შორის მოუქნელობის ზრდას განაპირობებს. ეს დაშვება მოითხოვს შემდგომ კვლევებს იდენტობის ძიებასა და ფსიქოლოგიურ მოუქნელობას შორის არსებული კავშირების მიმართულებით.

კვლევის შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს შერჩევის მცირე ზომა, რაც შესაძლოა ვერ უზრუნველყოფს შედეგების გენერალიზებას არსებულ პოპულაციაზე. ამასთანავე, საინტერესო იქნება, თუ მსგავსი კვლევა ჩატარდება სხვა ასაკობრივ ჯგუფებზეც.

შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილ კვლევას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. დისფუნქციურ მდგომარეობებს შორის მსგავსი კავშირების ღრმად შესწავლა საფუძველს უმზადებს სხვა კვლევებს, განსაზღვრონ კაუზალური კავშირი ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და ადაპტაციაში ხელისშემშლელ მდგომარეობებს შორის.

## დასკვნები

მიღებული და დამუშავებული მონაცემების საფუძველზე შესაძლოა გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები: ფსიქოლოგიური მოუქნელობა ძლიერ დადებით კავშირშია როგორც დეპრესიის, ისე აგრესიის ცვლადებთან. ამასთანავე, ეს კავშირი წარჩუნდება ჩვენ მიერ ნაკვლევ ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფებში. ფსიქოლოგიური მოუქნელობის ცვლადს

დამოუკიდებლად შეუძლია ახსნას ცვლილებები აგრესიის ცვლადში, მაშინ როცა გაკონტროლებული დეპრესიის ცვლადი დადებითი კავშირი არსებობს დეპრესიისა და აგრესიის ცვლადებს შორის, თუმცა ფსიქოლოგიური მოუქნელობის გაკონტროლების შემდეგ ეს კავშირი კარგავს მნიშვნელობას. გოგონები გამოირჩევიან ფსიქოლოგიური მოუქნელობის უფრო მაღალი მაჩვენებლით, ვიდრე ბიჭები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Albert, P. R. (2015). Why is depression more prevalent in women? *Journal of Psychiatry & Neuroscience* : JPN, 40(4), 219–221. <https://doi.org/10.1503/jpn.150205>
- Beck Depression Inventory (BDI). (n.d.). Retrieved November 29, 2017, from <http://www.apa.org/pi/about/publications/caregivers/practice-settings/assessment/tools/beck-depression.aspx>
- Blitstein, J. L., Murray, D. M., Lytle, L. A., Birnbaum, A. S., & Perry, C. L. (2005). Predictors of Violent Behavior in an Early Adolescent Cohort: Similarities and Differences Across Genders. *Health Education & Behavior*, 32(2), 175–194. <https://doi.org/10.1177/1090198104269516>
- Bohlmeijer, E. T., Fledderus, M., Rokx, T. a. J. J., & Pieterse, M. E. (2011). Efficacy of an early intervention based on acceptance and commitment therapy for adults with depressive symptomatology: Evaluation in a randomized controlled trial. *Behaviour Research and Therapy*, 49(1), 62–67. <https://doi.org/10.1016/j.brat.2010.10.003>
- Bond, F. W., & Bunce, D. (2003). The role of acceptance and job control in mental health, job satisfaction, and work performance. *The Journal of Applied Psychology*, 88(6), 1057–1067. <https://doi.org/10.1037/0021-9010.88.6.1057>
- Bond, F. W., Hayes, S. C., Baer, R. A., Carpenter, K. M., Guenole, N., Orcutt, H. K., ... Zettle, R. D. (2011). Preliminary Psychometric Properties of the Acceptance and Action Questionnaire–II: A Revised Measure of Psychological Inflexibility and Experiential Avoidance. *Behavior Therapy*, 42(4), 676–688. <https://doi.org/10.1016/j.beth.2011.03.007>
- Brenner, C. (1991). A psychoanalytic perspective on depression. *Journal of the American Psychoanalytic Association*, 39(1), 25–43. <https://doi.org/10.1177/000306519103900102>
- Bushman, B. J., Baumeister, R. F., & Phillips, C. M. (2001). Do people aggress to improve their mood? Catharsis beliefs, affect regulation opportunity, and aggressive responding. *Journal of Personality and Social Psychology*, 81(1), 17–32.
- Buss AH, Perry M. The aggression questionnaire. *J Pers Soc Psychol* 63: 452-459. (n.d.). Retrieved November 29, 2017, from [https://www.researchgate.net/publication/21751339\\_Buss\\_AH\\_Perry\\_M\\_The\\_aggression\\_questionnaire\\_J\\_Pers\\_Soc\\_Psychol\\_63\\_452-459](https://www.researchgate.net/publication/21751339_Buss_AH_Perry_M_The_aggression_questionnaire_J_Pers_Soc_Psychol_63_452-459)
- Davis, R. N., & Nolen-Hoeksema, S. (2000). Cognitive Inflexibility Among Ruminators and Nonruminators. *Cognitive Therapy and Research*, 24(6), 699–711. <https://doi.org/10.1023/A:1005591412406>
- Effects of impulsivity, depression, provocation, and time on aggressive behavior. (n.d.). Retrieved November 29, 2017, from [https://www.researchgate.net/publication/222146381\\_Effects\\_of\\_impulsivity\\_depression\\_provocation\\_and\\_time\\_on\\_aggressive\\_behavior](https://www.researchgate.net/publication/222146381_Effects_of_impulsivity_depression_provocation_and_time_on_aggressive_behavior)
- Ehring, T., & Watkins, E. R. (2008). Repetitive Negative Thinking as a Transdiagnostic Process. *International Journal of Cognitive Therapy*, 1(3), 192–205. <https://doi.org/10.1521/ijct.2008.1.3.192>

- Fazel, S., Wolf, A., Chang, Z., Larsson, H., Goodwin, G. M., & Lichtenstein, P. (2015). Depression and violence: a Swedish population study. *The Lancet. Psychiatry*, 2(3), 224–232. [https://doi.org/10.1016/S2215-0366\(14\)00128-X](https://doi.org/10.1016/S2215-0366(14)00128-X)
- Gardner, F. L., & Moore, Z. E. (2008). Understanding clinical anger and violence: the anger avoidance model. *Behavior Modification*, 32(6), 897–912. <https://doi.org/10.1177/0145445508319282>
- Gardner, F. L., & Moore, Z. E. (2013). *Contextual Anger Regulation Therapy for the Treatment of Clinical Anger: A Mindfulness and Acceptance-Based Behavioral Approach*. Routledge.
- Gerhart, J. I., Baker, C. N., Hoerger, M., & Ronan, G. F. (2014). Experiential avoidance and interpersonal problems: A moderated mediation model. *Journal of Contextual Behavioral Science*, 3(4), 291–298. <https://doi.org/10.1016/j.jcbs.2014.08.003>
- Gloster, A. T., Klotsche, J., Chaker, S., Hummel, K. V., & Hoyer, J. (2011). Assessing psychological flexibility: what does it add above and beyond existing constructs? *Psychological Assessment*, 23(4), 970–982. <https://doi.org/10.1037/a0024135>
- Hayes, S., Bissett, R., Roget, N., Padilla, M., Kohlenberg, B., Fisher, G., ... Niccolls, R. (2004). The Impact of Acceptance and Commitment Training and Multicultural Training on the stigmatizing attitudes and professional burnout of substance abuse counselors. *Psychology Faculty Publications*. Retrieved from [https://scholarworks.gsu.edu/psych\\_facpub/102](https://scholarworks.gsu.edu/psych_facpub/102)
- Hayes, S. C., Luoma, J. B., Bond, F. W., Masuda, A., & Lillis, J. (2006). Acceptance and commitment therapy: model, processes and outcomes. *Behaviour Research and Therapy*, 44(1), 1–25. <https://doi.org/10.1016/j.brat.2005.06.006>
- Hayes, S. C., Wilson, K. G., Gifford, E. V., Follette, V. M., & Strosahl, K. (1996). Experimental avoidance and behavioral disorders: a functional dimensional approach to diagnosis and treatment. *Journal of Consulting and Clinical Psychology*, 64(6), 1152–1168.
- Hayes, Strosahl, & Wilson, 1999 | Association for Contextual Behavioral Science. (n.d.). Retrieved November 29, 2017, from [https://contextualscience.org/publications/hayes\\_strosahl\\_wilson\\_1999](https://contextualscience.org/publications/hayes_strosahl_wilson_1999)
- Jakupcak, M., Lisak, D., & Roemer, L. (2002). The Role of Masculine Ideology and Masculine Gender Role Stress in Men’s Perpetration of Relationship Violence. *Psychology of Men and Masculinity*, 3(2), 97–106. <https://doi.org/10.1037/1524-9220.3.2.97>
- Just, N., & Alloy, L. B. (1997). The response styles theory of depression: tests and an extension of the theory. *Journal of Abnormal Psychology*, 106(2), 221–229.
- Kashani, J. H., Dahlmeier, J. M., Borduin, C. M., Soltys, S., & Reid, J. C. (1995). Characteristics of Anger Expression in Depressed Children. *Journal of the American Academy of Child & Adolescent Psychiatry*, 34(3), 322–326. <https://doi.org/10.1097/00004583-199503000-00017>
- Kashdan, T. B. (2010). Psychological Flexibility as a Fundamental Aspect of Health. *Clinical Psychology Review*, 30(7), 865–878. <https://doi.org/10.1016/j.cpr.2010.03.001>
- Kato, T. (2016). Impact of psychological inflexibility on depressive symptoms and sleep difficulty in a Japanese sample. *SpringerPlus*, 5, 712. <https://doi.org/10.1186/s40064-016-2393-0>
- Lillis, J., & Hayes, S. C. (2007). Applying acceptance, mindfulness, and values to the reduction of prejudice: a pilot study. *Behavior Modification*, 31(4), 389–411. <https://doi.org/10.1177/0145445506298413>

- Loeber, R., & Hay, D. (1997). Key issues in the development of aggression and violence from childhood to early adulthood. *Annual Review of Psychology*, 48, 371–410. <https://doi.org/10.1146/annurev.psych.48.1.371>
- Mayo, P. R. (1967). Some Psychological Changes Associated with Improvement in Depression. *British Journal of Social and Clinical Psychology*, 6(1), 63–68. <https://doi.org/10.1111/j.2044-8260.1967.tb00501.x>
- McCracken, L. M., Williams, J. L., & Tang, N. K. Y. (2011). Psychological flexibility may reduce insomnia in persons with chronic pain: a preliminary retrospective study. *Pain Medicine (Malden, Mass.)*, 12(6), 904–912. <https://doi.org/10.1111/j.1526-4637.2011.01115.x>
- Milrod, D. (1988). A Current View of the Psychoanalytic Theory of Depression. *The Psychoanalytic Study of the Child*, 43(1), 83–99. <https://doi.org/10.1080/00797308.1988.11822736>
- Miron, L., Sherrill, A., & Orcutt, H. (2015). Fear of self-compassion and psychological inflexibility interact to predict PTSD symptom severity. *Journal of Contextual Behavioral Science*, 4. <https://doi.org/10.1016/j.jcbs.2014.10.003>
- Newman, R. S., & Hirt, M. (1983). The psychoanalytic theory of depression: symptoms as a function of aggressive wishes and level of field articulation. *Journal of Abnormal Psychology*, 92(1), 42–48.
- Nolen-Hoeksema, S., & Morrow, J. (1991). A Prospective Study of Depression and Posttraumatic Stress Symptoms After a Natural Disaster: The 1989 Loma Prieta Earthquake. *Journal of Personality and Social Psychology*, 61, 115–21. <https://doi.org/10.1037/0022-3514.61.1.115>
- Nolen-Hoeksema, S., Morrow, J., & Fredrickson, B. L. (1993). Response styles and the duration of episodes of depressed mood. *Journal of Abnormal Psychology*, 102(1), 20–28.
- Papageorgiou, C., & Siegle, G. J. (2003). Rumination and Depression: Advances in Theory and Research. *Cognitive Therapy and Research*, 27(3), 243–245. <https://doi.org/10.1023/A:1023918331490>
- Perroud, N., Baud, P., Mouthon, D., Courtet, P., & Malafosse, A. (2011). Impulsivity, aggression and suicidal behavior in unipolar and bipolar disorders. *Journal of Affective Disorders*, 134(1–3), 112–118. <https://doi.org/10.1016/j.jad.2011.05.048>
- Psychometric properties of the Beck Depression Inventory: Twenty-five years of evaluation – ScienceDirect. (n.d.). Retrieved November 29, 2017, from <http://www.sciencedirect.com/science/article/pii/0272735888900505>
